186
1983

3

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4

ივლისი — აგვისტო

1983 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4 ივლისი—აგვისტო 1983 წ.

14974

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

46. საქართველოს სსრ ტყეებში თიბვისა და პირუტყვის ძოვების წესის შესახებ.
47. რესპუბლიკაში გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ.
48. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების წესდებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.
49. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 22 აპრილის № 260 დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
50. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
51. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 10 მაისის № 298 დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.
52. მოსახლეობისათვის მისაწოდებელი ქსელის გაზის მოხმარების ნორმებისა და ტარიფების შესახებ.
53. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული დარგთაშორისი საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიული სამმართველოების დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.
54. რესუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისას ახალგაზრდა დედებისათვის შეღავათების მიცემის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

55. საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

56. „სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 30 ივნისის № 584 დადგენილების თაობაზე.

57. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

58. ინვალიდი მუშა-მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების, აგრეთვე ბავშვობიდან ინვალიდების სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის შესახებ.

59. საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლისათვის შალვა დადიანის სახელის მიკუთვნების შესახებ.

60. „რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მფლობელობის, სარგებლობისა და გამგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 8 ივლისის № 628 დადგენილების თაობაზე.

61. საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედებითი შრომის ანაზღაურების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და მუსიკალურ ნაწარმოებთა საჯაროდ შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელოს გადახდის მოწესრიგების შესახებ.

62. „საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 20 სექტემბრის № 644 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.

63. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 21 ივნისის № 442 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

64. თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ი. ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ.

46 საქართველოს სსრ ტყეებში თიბვისა და პირუტყვის ძოვების წესის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 27 აპრილის № 364 დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკის ტყეებში თიბვისა და პირუტყვის ძოვების მოწესრიგების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 27 აპრილის № 364 დადგენილებით დამტკიცებული სსრ კავშირის ტყეებში თიბვისა და პირუტყვის ძოვების თანდართული წესები.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს განუხრელად დაიცვან საქართველოს სსრ ტყეებში თიბვისა და პირუტყვის ძოვების დროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 27 აპრილის № 364 დადგენილებით დამტკიცებული სსრ კავშირის ტყეებში თიბვისა და პირუტყვის ძოვების წესები.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს დააწესოს სისტემატური კონტროლი საქართველოს სსრ ტყეებში თიბვისა და პირუტყვის ძოვების წესების დაცვისადმი.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 27 სექტემბრის № 1049 და 1962 წლის 12 მაისის № 309 დადგენილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 8 ივლისი, № 456.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დადგენილება № 364

1983 წლის 27 აპრილი

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის ტყეებში თიბვისა და პირუტყვის ძოვების წესებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 17 აგვისტოს № 2915 დადგენილებით დამტკიცებულ სსრ კავშირის ტყეებში თიბვისა და პირუტყვის ძოვების წესებში (სსრკ დადგ. კრებ., 1947 წ., № 6, მუხ. 116)

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

ცვლილებანი და დამატებანი და ჩამოყალიბდეს აღნიშნული წესები ახალი რედაქციით (თან ერთვის).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ტიხონოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 17 აგვისტოს № 2915 დადგენილებით
(სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 27 აპრილის № 364 დადგენილების რედაქციით)

წ ე ს ე ბ ი

სსრ კავშირის ტყეებში თიბვისა და პირუტყვის ძოვებისა

I. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესები გამოიყენება სსრ კავშირის ყველა ტყის მიმართ, კოლმეურნეობათა ტყეების და სახლმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის მიჩენილი ტყეების გარდა.

2. ეს წესები სავალდებულოა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ეწევიან სატყეო მეურნეობას ტყეებში, სადაც გამოიყენება ეს წესები, და ყველა ტყითმოსარგებლისათვის, რომლებიც ახორციელებენ თიბვასა და პირუტყვის ძოვბას ამ ტყეებში.

II. სათიბად გამოსადეგი ფართობების გამოვლენა

3. სახელმწიფო ტყის ფონდის ტყეებში და ტყით დაუფარავ მიწებზე განისაზღვრება სათიბად გამოსადეგი ფართობები.

4. სათიბად უწინარეს ყოვლისა გამოიყოფა ამ მიზნით გამოსადეგი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობები, რომლებიც სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების შემადგენლობაში შედის.

აღნიშნული ფართობები განისაზღვრება ტყეთმოწყობისა და მიწათმოწყობის საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების, აგრეთვე სხვა საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების საფუძველზე.

5. სათიბად შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე გაუტყევებელი ტყესაკაფები, ველობები და ტყით დაუფარავი სხვა ფართობები, რომლებზეც მოსალოდნელი არაა ტყის ბუნებრივი განახლება, მათზე ტყის კულტურების გაშენებამდე, და სათიბად გამოსადეგი ფართობები, რომლებიც მოითხოვენ მათი გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებას (დაშრობა, კოლბოხების მოსპობა და სხვ.).

საჭირო შემთხვევებში სათიბად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მიზნით გამოსადეგი ნაკლებმნიშვნელოვანი ნარგავების ნაკვეთები, რომლებიც გათვალისწინებული არაა რეკონსტრუქციისათვის.

აღნიშნულ ფართობებს განსაზღვრავენ და ყოველწლიურად დააზუსტებენ საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან სატყეო მეურნეობას, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით კეთილმოწყობისა და მიწათმოწყობის საგეგმო კარტოგრაფიული მასალების, აგრეთვე ტყეების ინვენტარიზაციის, აეროტაქსაციურ და სხვა გამოკვლევათა მასალების საფუძველზე.

III. პირუტყვის ძოვება

6. პირუტყვის ძოვება ნებადართულია სახელმწიფო ტყის ფონდის ყველა ტყეში და ტყით დაუფარავ მიწებზე, ნაკრძალთა ტყეების, ნაკრძალი ტყის ნაკვეთების, ეროვნული და ბუნებრივი პარკების, ტყეპარკების, მეცნიერული ან ისტორიული მნიშვნელობის ტყეების, ბუნებრივი ძეგლების, სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლების, ეროზიასაწინააღმდეგო ტყეების, განსაკუთრებით ძვირფასი ტყის მასივების, წყალმომარაგების წყაროების სანიტარიული დაცვის ზონების პირველი და მეორე სარტყლის ტყეების, კურორტების სანიტარიული დაცვის პირველი და მეორე ზონების ტყეების გარდა.

7. აკრძალულია პირუტყვის ძოვება:

ა) ტყის კულტურების ფართობებზე მანამ, ვიდრე ისინი მიაღწევდნენ ისეთ სიმაღლეს, რომელიც გამორიცხავს პირუტყვის მიერ კენწეროების დაზიანების შესახლებლობას, ტყის სათესლე, ნაძვ-სოჭის, ტირიფის, ალვისხისა და კაკლოვანთა პლანტაციებში, აგრეთვე იმ ნაკვეთებზე, სადაც ხორციელდება ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებანი;

ბ) ბუნებრივ შიმალებში და განვითარებული სიცოცხლისუნარიანი მოზარდით დაფარულ კორომებში მანამ, ვიდრე შიმალი და მოზარდი მიაღწევდეს ისეთ სიმაღლეს, რომელიც გამორიცხავს პირუტყვის მიერ კენწეროების დაზიანების შესაძლებლობას;

გ) ნაკაფებზე და სხვა ტყით დაუფარავ ფართობებზე ,რომლებიც გათვალისწინებულია წიწვოვანი და მაგარფოთლოვანი ჯიშების ბუნებრივი განახლებისათვის;

დ) ფართობებზე სადაც ნიადაგი ადვილად ირეცხება და იფანტება.

8. იმ ნაკვეთებს, რომლებზეც აკრძალულია პირუტყვის ძოვება ამ წესების მე-7 პუნქტის თანახმად, განსაზღვრავენ ყოველწლიურად საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან სატყეო მეურნეობას, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით სახელმწიფო ტყის ფონდის ტყეებისა და ტყით დაუფარავი მიწების მდგომარეობის ცვლილებათა, აგრეთვე ტყეთაღდგენის სამუშაოთა წარმოების გეგმის გათვალისწინებით.

9. პირუტყვის ძოვება პირველი და მეორე ჯგუფის ტყეების და ყველა ჯგუფის მთის ტყეების განსაკუთრებით დაცულ ნაკვეთებზე შეიძლება აიკრძალოს ან შეიზღუდოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ,ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებში, რომელთაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, — მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით.

10. ტყეში გამოყოფილ საძოვრებზე პირუტყვის ძოვება უმწყემსოდ აკრძალულია. ცალკეულ შორეულ რაიონებში ეს შეიძლება დაშვებულ იქნეს სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ავტონომიური რესუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებში, რომელთაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, — მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით.

ნებადართულია პირუტყვის ძოვება უმწყემსოდ შემოღობილ ნაკვეთებზე ან დაბმული სახით.

ტყეებში, სადაც ორგანიზებულია სამონადირეო მეურნეობა, პირუტყვის ძოვება ძაღლებითურთ არ დაიშვება.

11. თხების ძოვება ტყეებში აკრძალულია. საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლები ცეწევიან სატყეო მეურნეობას, შეუძლიათ, როგორც გამონაკლისი, ნება დართონ თხების ძოვება საგანგებოდ გამოყოფილ ნაკვეთებზე, რომლებიც წინასწარ შემოღობეს პირუტყვის მფლობელებმა.

12. პირუტყვის მფლობელები ბოვალენი არიან საჭირო შემთხვევებში იმ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მითითებით, რომლებიც ეწევიან სატყეო მეურნეობას, შემოღობონ პირუტყვის სარეკები და საძოვრები ტყის კულტურების, სანერგეებისა და ტყის სხვა უბნების დაცვის მიზნით.

ხის მასალას შემოსაღობად მისცემენ საძოვრების მოსარგებლეებს სწაარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან სატყეო მეურნეობას, საფასურით დაწესებული ნიხრის მიხედვით.

13. პირუტყვის ძოვების ვადებსა და ნორმებს განსაზღვრავენ სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებში, რომელთაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სატყეო მეურნეობის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების წარდგენით.

IV. სათიბად და პირუტყვის საძოვრად ნაკვეთების განაწილებისა და გამოყენების წესი

14. საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან სატყეო მეურნეობას, გამოყოფენ დადგენილი წესით სახელმწიფო ტყის ფონდის ტყეებში და მიწებზე არსებული სათიბად და პირუტყვის საძოვრად გამოსადეგი ფართობებიდან:

სამსახურებრივ მიწის ნადელებს სათიბად სატყეო მეურნეობის მუშაკებისა და სხვა კატეგორიის მუშაკებისათვის, რომელთაც აქვთ მათი მიღების

უფლება, აგრეთვე ნაკვეთებს პირუტყვის საძოვრად ზემოაღნიშნული მუშაკებისათვის, რომელთაც ჰყავთ პირუტყვი;

ნაკვეთებს სათიბად და პირუტყვის საძოვრად სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამამზადებელი მრეწველობის მუშაკებისათვის, რომელთაც ჰყავთ პირუტყვი, მაგრამ არ სარგებლობენ სამსახურებრივი მიწის ნადელების მიღების უფლებით;

ნაკვეთებს სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყი სდამამზადებელი მრეწველობის საწარმოთა საზოგადოებრივი მეცხოველეობის საკვებით უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მათთვის დაწესებული თივის შესყიდვის სახელმწიფო გეგმის შესასრულებლად.

15. ცნობებს სათიბად და პირუტყვის საძოვრად გამოსადეგი დანარჩენი ფართობების შესახებ (ამ წესების მე-14 პუნქტში აღნიშნულის გარდა) საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან სატყეო მეურნეობას, წარუდგენენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს თიბვის ან პირუტყვის ძოვების დაწყებამდე არა უგვიანეს ორი თვისა მოსარგებლეთა შორის გასანაწილებლად.

იმ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, რომლებიც ეწევიან სატყეო მეურნეობას, ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა ზემოაღნიშნული ცნობების დროულად წარდგენის, სისრულისა და სიზუსტისათვის.

16. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს გამოაქვთ გადაწყვეტილებანი სათიბად და პირუტყვის საძოვრად გამოსადეგი ფართობების კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და იმ მოქალაქეებს შორის განაწილების შესახებ, რომელთაც ჰყავთ პირუტყვი, ამასთან სათიბად და პირუტყვის საძოვრად ნაკვეთების პირველ რიგში მიღების უფლება აქვთ:

ა) კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დამხმარე სასოფლო მეურნეობებს;

ბ) სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების ინვალიდებს და დაღუპულ ან უგზოუკვლოდ დაკარგულ მეომართა (პარტიზანთა) და დადგენილი წესით მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახებს.

სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების მონაწილეებს. სსრ კავშირის დაცვისათვის საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე სხვა პირებს, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს;

I და II ჯგუფების შრომის ინვალიდებს და სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან I და II ჯგუფების ინვალიდებს;

სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულების, ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, სოციალისტური საკუთრებისა და მართლწესრიგის დასაცავად სსრ კავშირის მოქალაქის ვალის მოხდის დროს დაღუპულ ან უბედური შემთხვევის შედეგად წარმოებაში დაღუპულ პირთა ოჯახებს;

მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს;

მოქალაქეებს, რომლებმაც დაუდეს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ან სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს ხელშეკრულებანი მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების თაობაზე.

17. სათიბად და პირუტყვის საძოვრად ნაკვეთების მიღების უპირატესი უფლებით სხვა თანაბარი პირობების დროს სარგებლობენ ის საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქენი, რომლებიც მონაწილეობენ ტყეების აღდგენის, გაშენების სმუშაოებში და სხვა სატყეო-სამეურნეო სამუშაოთა განხორციელებაში.

18. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები თიბვის ა ნპირუტყვის ძოვების დაწყებამდე არა უგვიანეს ორი კვირისა აცნობებენ საწარმოებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომლებიც ეწევიან სატყეო მეურნეობას, სათიბად და საძოვრად ნაკვეთების განაწილების შესახებ.

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან სატყეო მეურნეობას, უზრუნველყოფენ სახლხო დპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებათა შესაბამისად ტყის ბილეთების გაცემას და გამოყოფენ ნატურაში ნაკვეთებს სათიბად და პირუტყვის საძოვრად.

19. სათიბად და პირუტყვის საძოვრად ნაკვეთებით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დაწესებული ნიმუშის სატყეო ბილეთებს მისცემენ საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან სატყეო მეურნეობას, ყველა მოსარგებლეს, მათ შორის აგრეთვე სამსახურებრივი მიწის ნადელებით სათიბად სარგებლობის უფლების მისანიჭებლად. სატყეო ბილეთში აღინიშნება სარგებლობის ვადა, ფართობი და ადგილი (სატყეო, აგარა, კვარტალი, მიჯნა), აგრეთვე მოსარგებლის მოვალეობანი.

20. საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და მოქალაქეთა დავას სათიბად და პირუტყვის საძოვრად ნაკვეთებით სარგებლობის შესახებ გადაწყვეტენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები განცხადების შეტანიდან 10 დღის ვადაში.

სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებანი სათიბად და პირუტყვის საძოვრად ნაკვეთების განაწილებისა და გამოყენების საკითხებზე შეიძლება გასაჩივრდეს სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებში, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებში, რომელთაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებში. აღნიშნული ორგანოების გადაწყვეტილებანი საბოლოოა.

21. საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან სატყეო მეურნეობას, მოვალენი არიან სისტემატური კონტროლი გაუწიონ იმას, რომ საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა და მოქალაქეებმა რაციონალურად გამოიყენონ მათთვის სათიბად და პირუტყვის საძოვრად გამოყოფილი ნაკვეთები და დაიცვან დადგენილი წესები.

22. თიბვა და პირუტყვის ძოვება გამოყოფილ ნაკვეთებზე უნდა განხორციელდეს სატყეო ბილეთებში აღნიშნულ ვადებში. სატყეო ბილეთებში აღნიშნულ ვადებში გამოუყენებელი ნაკვეთები გადაეცემათ სხვა მოსარგებლეებს ამ წესებით გათვალისწინებული წესით.

23. სათიბად და პირუტყვის საძოვრად ნაკვეთები (ამ წესების მე-14 პუნქტში აღნიშნულის გარდა) მიეცემათ საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს დროებით მოკლევადიანი სარგებლობისათვის 3 წლამდე ვადით, ხოლო თუ შესაძლებელია — დროებით გრძელვადიანი სარგებლობისათვის 3-დან 10 წლამდე ვადით. დროებით გრძელვადიანი სარგებლობისათვის ზემოაღნიშნული ნაკვეთების მიცემისას მოსარგებლეებს შეიძლება დაეკისროთ მოვალეობა — განახორციელონ სათიბი და საძოვარი სავარგულების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

24. თუ საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქენი არაერთხელ დაარღვევენ ამ წესებს, მათთვის სათიბად და პირუტყვის საძოვრად მიცემული ნაკვეთებით სარგებლობის უფლება შეიძლება შეწყდეს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით.

25. თვითნებური თიბვისათვის ან პირუტყვის ძოვებისათვის, სათიბებისა და საძოვრების დაზიანებისათვის, ხეების, ბუჩქნარებისა, და ნარგავების მოსპობის ან დაზიანებისათვის, აგრეთვე ტყის კანონის სხვა დარღვევებისათვის საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

---

47 რესპუბლიკაში გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ

„ქვეყანაში გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 4 აპრილის № 273 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა:

— უზრუნველყონ გაზომვათა მეთოდიკების, მათ მიერ დამუშავებული და გამოშვებული გაზომვათა საშუალებების შემოწმების მეთოდების, საშუალებათა და მეთოდიკების უნიფიკაცია და სტანდარტიზაცია, აგრეთვე საჭირო სიზუსტით გაზომვათა ცდომილების შეფასების სამუშაოთა განხორციელება;

— სისტემატურად განახორციელონ სამუშაოები გაზომვათა, საზომ საინფორმაციო სისტემათა და კომპლექსთა, გაზომვისა და გამოცდის არასტანდარტიზებულ სისტემათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, გაუწიონ მეტროლოგიური კონტროლი გაზომვის საშუალებათა მდგომარეობასა და გამოყენებას;

— სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპბლიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით შექმნან საჭირო შემთხვევებში

მეტროლოგიური სამსახურის მთავარი და საბაზო ორგანიზაციები, აგრეთვე მთავარი მეტროლოგის განყოფილებები (სამსახურები) ცენტრალური აპარატის მუშაკთა რიცხოვნობის ფარგლებში;

— პერიოდულად განახორციელონ მეტროლოგიის დარგის სპეციალისტთა მომზადება და გადამზადება ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სრულიად საკავშირო ინსტიტუტის თბილისის ფილიალის ბაზაზე სტანდარტიზაციის, პროდუქციის ხარისხისა და მეტროლოგიის დარგში;

— სამინისტროებმა და უწყებებმა (დანართის თანახმად) უზრუნველყონ საბაზო ხელსაწყოთსარემონტო საწარმოთა შექმნა და განვითარება რესპუბლიკის საწარმოებისა და ორგანიზაციების კუთვნილი გაზომვის საშუალებათა რემონტზე მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილების მიზნით, რისთვისაც სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით 1983 წლის ბოლომდე განსაზღვრონ ხელსაწყოთსარემონტო საწარმოთა სპეციალიზაცია გაზომვის საშუალებათა სახეობებისა და ცალკეული დასახელებების მიხედვით, აგრეთვე მათი სიმძლავრე სარემონტო ერთეულების პირობებში მიღებული სპეციალიზაციის მიხედვით და საექსპლუატაციოდ გადაცემიმს კონკრეტული ვადები.

გაზომვის საშუალებათა რემონტის სამუშაოების შეწყვეტა ან შემცირება ხდება სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით.

2. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა შექმნას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან გაზომვითი და კვლევითი ტექნიკის რემონტისა და გაქირავების, აგრეთვე ახალი გაზომვითი და კვლევითი ტექნიკის დამზადებისა და ტირაჟირების ცენტრი, რომლის მომსახურებითაც ისარგებლებს რესპუბლიკის ყველა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

3. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ მაქსიმალურად უზრუნველყოს რესპუბლიკის სამინისტროთა, უწყებათა, ხელსაწყოთსარემონტო საწარმოთა მოთხოვნილება გაზომვის საშუალებებზე, მასალებზე, სამარაგო ნაწილებზე, ტექნოლოგიურ მოწყობილობასა და სპეციალურ მოძრავ სამოწმებელ ლაბორატორიებზე მათ მიერ დადგენილი წესით წარდგენილი ტექნიკურად დასაბუთებული განაცხადების თანახმად.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმომარაგებამ უზრუნველყონ სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს ტერიტორიული ორგანოები მათი საქმიანობისათვის საჭირო საშენი მასალებით, სათბობით, ხე-ტყის მასალებით, სანიტარიულ-ტექნიკური და სხვა დამხმარე მოწყობილობით.

5. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ საჭირო ზომები საზომ საშუალებათა სახელმწიფო შემოწმების სამუშაოთა ორგანიზებულად წარმოებისათვის, რომელთაც ახორციელებენ სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო

კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო და მისი ტერიტორიული ორგანოები რესპუბლიკის შესაბამის რეგიონებში ყოველწლიურად გახსნილ დროებითს განყოფილებებში.

6. სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპბლიკურმა სამმართველომ მოამზადოს ქართულ ენაზე გამოცემა დამხმარე სახელმძღვანელოსი „გაზომვათა ერთიანობის საფუძვლები", ხოლო საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა შეიტანოს იგი 1985 წლის გეგმაში.

7. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ „ქვეყანაში გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ" 1983 წლის 4 აპრილის № 273 დადგენილებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დააწესა, რომ:

— გაზომვათა ერთიანობის უზრუნვმელყოფის სამუშაოები, რომლებიც ხორციელდება საწარმოებში ,ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, განეკუთვნება სამუშაოთა ძირითად სახეობებს;

— მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროთა და უწყებათა მეტროლოგიური სამსახურის მთავარ და საბაზო ორგანიზაციებს ამტკიცებენ ეს სამინისტროები და უწყებები სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკურ სამმართველოებთან შეთანხმებით;

— წარმოებიდან და რემონტიდან გამოშვებული, იმპორტის ხაზით შეძენილი, აგრეთვე ექსპლუატაციაში არსებული გაზომვის საშუალებებით გაივლის სახელმწიფო ან საუწყებო შემოწმებას, რაც დასტურდება გაზომვის საშუალებათა დარღვევით ,შემოწმების შესახებ მოწმობის გაცემით ანგაზომვის საშუალებათა პასპორტში აღნიშვნით.

სახელმწიფო და საუწყებო შემოწმებას ატარებენ პირები, რომლებიც ატესტებული არიან სახელმწიფო ან საუწყებო შემმოწმებლებად სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დადგენილი წესით;

— სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის ორგანოების მიერ სახელმწიფო შემოწმებას გაივლის დაზომვის საშუალებები, რომლებიც შეტანილია ამ კომიტეტის მიერ დამტკიცებულ სავალდებულო სახელმწიფო შემოწმების გასავლელ გაზომვის საშუალებათა ნუსხაში;

— იმ გაზომვის საშუალებათა შემოწმება, რომლებიც შეტანილი არაა სავალდებულო სახელმწიფო შემოწმების გასავლელ გაზომვის საშუალებათა ნუსხაში, ხორციელდება სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის ორგანოების ნებართვის საფუძველზე, როგორც წესი, სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მეტროლოგიური სამსახურების მიერ (საუწყებო შემოწმება).

გაზომვის საშუალებები, რომელთა შემოწმება შეუძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს სამინისტროებისა და უწყებების მიერ, შესამოწმებლად წარედგინებათ სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის ორგანოებს ან სხვა სამინისტროთა და უწყებათა საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ეს უფლება სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის ორგანოების მიერ;

— საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს უფლება აქვთ მისცენ სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის ორგანოებს შესამოწმებელი და კვლევითი საშუშაოებისათვის მასალები და მოწყობილობა, მათ შორის ფონდირებული, არსებული მასალებისა და მოწყობილობის რაოდენობიდან;

— სერიული წარმოებისათვის გათვალისწინებული ან პარტიობრივ იმპორტირებული გაზომვის საშუალებები ეექვემდებარება სახელმწიფო გამოცდას.

გაზომვის საშუალებები, რომლებიც სახელმწიფო გამოცდას არ ექვემდებარება, გაივლის მეტროლოგიურ ატესტაციას.

გაზომვის საშუალებათა სახელმწიფო გამოცდისა და მეტროლოგიური ატესტაციის ჩატარების წესს, აგრეთვე გაზომვის საშუალებებისათვის ტექნიკურ საშუალებათა ნიკუთვნების კრიტერიუმებს განსაზღვრავს სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტი;

— სამინისტროები და უწყებები შეუთანხმებენ სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს განაცხადებს გაზომვის საშუალებათა იმპორტის თაობაზე ამ კომიტეტისა და საგარეო ვაჭრობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

— გაზომვის საშუალებათა შემოწმების, მეტროლოგიური ატესტაციის, სახელმწიფო გამოცდისა და სხვა სახის სპეციალური მომსახურების საფასურის ოდენობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის ორგანოებს უფლება აქვთ გაასაღონ გაზომვის საშუალებები, რომლებსაც არ მოიკითხავენ მფლობელები სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იმ მომენტიდან, როცა მიიღებენ შეტყობინებას ჩატარებლი შემოწმების შესახებ. ამ გაზომვის საშუალებათა რეალიზაციით მიღებული თანხები უნდა გადაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში;

— იმ გაზომვის საშუალებათა გაშვება მიმოქცევაში და გამოყენება, რომელთაც არ გაუვლიათ სახელმწიფო გამოცდა ან მეტროლოგიური ატესტაცია, აგრეთვე შემოწმებული და უწესივრო გაზომვის საშუალებებისა აკრძალულია.

გაზომვის საშუალებათა მიმოქცევაში გაშვების, მოვლა-შენახვისა და გამოყენების დადგენილი წესების დარღვევისათვის დამნაშავე თანამდებობის პირებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკურმა სამმართველომ (ამხ. გიორგობიანი) დააწესოს სისტემატური კონტროლი ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობისადმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ნ. ჟვანია.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 8 ივლისი, № 457.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 8 ივლისის № 457 დადგენილების დანართი

ნ უ ს ხ ა

რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ საბაზო ხელსაწყოთსარემონტო საწარმოთა შექმნა და განვითარება

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი.

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო

საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს სსრ კავშირგაბმლობის სამინისტრო

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო

საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი

საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტი

ცეკავშირის გამგეობა

საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველო

სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

48 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების წესდებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 მაისის № 335 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების წესდების“ პირველი თავის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო“) ისტორიისა და კულტურის ძეგლთა რესტავრაციის, მეცნიერული **შესწავლის, პოპულარიზაციისა და საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის**

განმტკიცების მიზნით, ზემდგომი ორგანოების მიერ განსაზღვრული პროფილის, გამოსაშვები პროდუქციის ასორტიმენტისა და მოცლობის დამტკიცებული გეგმებისა და დადგენილი წესის მიხედვით საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ხსნის, გარდაქმნის და აუქმებს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მისთვის დამტკიცებული მომუშავეთა რიცხოვნობის, ხელფასის ფონდისა და ზღვრული ასიგნებათა ფარგლებში.

2. მეოთხე თავის 25-ე პუნქტის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების შესატანები დაწესებულია: იხდიდიდუალურ წევრთათვის — შესასვლელი შესატანი ოცდაათი კაპიკი, საწევრო — სამოცი კაპიკი წელიწადში; მოსწავლეთათვის შესასვლელი შესატანი ათი კაპიკი, საწევრო — ოცი კაპიკი წელიწადში“.

3. მეოთხე თავის 26-ე პუნქტის პირველი და მეორე აბზაცები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საწევრო შესატანი შეტანილ უნდა იქნეს საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონულ ან საქალაქო საბჭოს ანგარიშზე, შეგროვილი თანხის 20 პროცენტი ეკუთვნის საზოგადოების პირველადს ორგანიზაციებს.

რაიონული და საქალაქო საბჭოები მთლიანი შემოსავლის 25 პროცენტს ურიცხავენ საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს.

შენიშვნა: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონული და საქალაქო საბჭოები, რომლებიც მდებარეობენ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე, დარჩენილი თანხის 80 პროცენტს ურიცხავენ სათანადო საოლქო საბჭოებს, ხოლო საოლქო საბჭოები მათ ანგარიშზე შემოსული თანხის 15 პროცენტს ურიცხავენ საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს. ქ. თბილისის ტერიტორიაზე დებარე რაიონული საბჭოები საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოს ურიცხავენ მთლიანი თანხის 50 პროცენტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 8 ივლისი, № 459

49 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 22 აპრილის № 260 დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში მართვის სტრუქტურის სრულყოფის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა

საბჭოს 1983 წლის 22 აპრილის № 260 დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი:

— 1974 წლის 18 მარტის № 201 „საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მართვის სქემის შესახებ“;

— 1977 წლის 26 მაისის № 379 „საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მართვის სქემის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 18 მარტის № 201 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე“;

— 1981 წლის 20 თებერვლის № 130 „საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „საქკვებტარის“ შექმნის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 8 ივლისი, № 464.

50 საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებლება საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს შესახებ, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 11 თებერვლის № 74 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 13 ივლისი, № 471

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 13 ივლისის № 471
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო არის სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო, რომელიც ახორციელებს სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის მრეწველობისადმი ხელმძღვანელობას რესპბლიკაში.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო თავის საქმიანობაში ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს დარგის მართვას ტყეების გამოყენების, კვლავწარმოების, მოვლა-დაცვის საქმეში, აგრეთვე დარგთაშორის მართვას ამ სფეროში.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს აკისრია პასუხისმგებლობა კომპლექსური სატყეო მეურნეობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის, სატყეო მეურნეობასა და ხე-ტყის მრეწველობაში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის, დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განხორციელების უზრუნველყოფისათვის.

2. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს მთავარი ამოცანებია:

— ტყეების წყალშემნახავი, დაცვითი კლიმატმარეგულირებელი, გამაჯანსაღებელი და სხვა სასარგებლო ბუნებრივი თვისებების შენარჩუნება და გაძლიერება ადამიანთა ჯანმრთელობის, გარემოს გაუმჯობესების და სატყეო მეურნეობის, როგორც სახალხო მეურნეობის შემადგენელი ნაწილის, განვითარების ინტერესებისათვის;

— ტყით უწყვეტი, არაგამანადგურებელი და რაციონალური სარგებლობა მერქანსა და ტყის სხვა პროდუქციაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა გეგმაზომიერი დაკმაყოფილებისათვის;

ტყეების გაფართოებული კვლავწარმოება, ჯიშობრივი შემადგენლობისა და ხარისხის გაუმჯობესება, მათი პროდუქტიულობის ამაღლება, ტყეების დაცვა-შენარჩუნება, მათი დაცვა ხანძრისა და უკანონო ჭრისაგან, მავნე მწერებისა და დაავადებებისაგან, სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების რაციონალური გამოყენება;

— სახელმწიფო კონტროლი საქართველოს სსრ ყველა ტყეების მდგომარეობის, გამოყენების, კვლავწარმოებისა და დაცვისადმი;

— სატყეო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის უზრუნველყოფა მუშაობის მოწინავე გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის საფუძველზე; მეცნიერული კვლევის ყოველმხრივი

განვითარება და სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის მრეწველობის წინაშე დასახული მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების შემუშავება;

— სახელმწიფო გეგმისა და დავალებების შესრულება, სახელმწიფო დისციპლინის მკაცრი დაცვა;

— სამინისტროს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, სატყეო მეურნეობის ორგანოთა კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, ძველი გამოცდილი კადრებისა და ახალგაზრდა უნარიანი მუშაკების შეხამება, მუშათა ცოდნისა და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის საჭირო პირობების შექმნა,ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდა მუშაკთა დაწინაურება, რომელთაც კარგად გამოიჩინეს თავი.

3. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო:

— ახორციელებს სატყეო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობას, როგორც წესი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სატყეო მეურნეობის სამმართველოს, მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებული სატყეო მეურნეობების, ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობების, სახელმწიფო ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების, სახელმწიფო ტყის სანერგეებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების მეშვეობით;

— ამყარებს კონტაქტებს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან და ახორციელებს მათთან საქმიან თანამშრომლობას დარგთაშორისი საკითხების შემუშავებისა და გადაწყვეტის დროს.

4. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სატყეო მეურნეობის სამმართველო, სატყეო მეურნეობები და სხვა მისი საქვეუწყებო საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები შეადგენენ საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ერთიან სისტემას.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სატყეო მეურნეობის სამმართველო ექვემდებარებიან შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს.

5. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებისათვის მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის სამინისტროების ზოგადი დებულებით იმ ფუნქციების განხორციელებისას, რომლებიც დაკავშირებულია სამინისტროს სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობასთან დაგეგმვის, მეცნიერებისა და ტექნიკის, კაპიტალური მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ფინანსებისა და კრედიტის კადრების, შრომისა და ხელფასის, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული კავშირურთიერთობის დარგში.

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ

6. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლებით და მის შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის ტყის კანონმდებლობის სხვა აქტებით, საქართველოს სსრ ტყის კოდექსითა და საქართველოს სსრ ტყის კანონმდებლობის სხვა აქტებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებებით, ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და სხვა აქტებით, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას სამინისტროს სისტემის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო განაზოგადებს სამინისტროს სისტემაში კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს მისი სრულყოფის წინადადებებს და დადგენილი წესით წარუდგენს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს.

7. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

— განსაზღვრავს რესპუბლიკაში სატყეო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებს, ხელმძღვანელობას უწევს სატყეო მეურნეობის ორგანიზაციას სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში, გეგმავს ტყეთმოწყობას, აწარმოებს მთავარი სარგებლობის ჭრებს (ტყეთაღდგენით ჭრებს), ახორციელებს კონტროლს მისი რაციონალურად გამოყენებისადმი;

— აწარმოებს დადგენილი წესით ტყეების სახელმწიფო აღრიცხვას, სახელმწიფო ტყის კადასტრს, აგრეთვე სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების მდგომარეობისა და გამოყენების დარგობრივ აღრიცხვას;

— ამოწმებს სატყეო მეურნეობის გაძღოლას სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციებისათვის მიჩენილ ტყეებში, აგრეთვე ძირზე მერქნის გაცემის წესების დაცვას და მთავარი სარგებლობის ჭრის წესების შესრულებას რესპუბლიკის ტყეებში;

— განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მონაწილეობით და წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს განსახილველად რესპუბლიკის სახელმწიფო ტყის ფონდის ტყეებში საანგარიშო ტყესაკაფს;

— შეიმუშავებს წინადადებებს რესპუბლიკის ტყეების შესაბამისი ჯგუფებისა და დაცვის კატეგორიებისათვის მიკუთვნების შესახებ, აგრეთვე მათი ერთი ჯგუფიდან და დაცვის კატეგორიიდან მეორეში გადაყვანის შესახებ და წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან შესათანხმებლად და დადგენილი წესით დასამტკიცებლად;

— შეიმუშავებს და წარუდგენს დადგენილი წესით სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ ტყეებში მთავარი სარგებლობის ჭრების (ტყეთაღდგენითი ჭრების) წესებს;

— უზრუნველყოფს დადგენილი წესით სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებიდან მიწის ნაკვეთების გამოყოფას სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის;

— ხელმძღვანელობს დაქვემდებარებული სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების საქმიანობას, შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს ამ ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, უზრუნველყოფს მათ საჭირო საწარმო-ექსპერიმენტული ბაზით;

— თავს უყრის სამეცნიერო ძალებს რესპუბლიკაში. ტყის რესურსების კვლავწარმოებისა და რაციონალური პრობლემების მეთოდებისა და ხერხების შემდგომი სრულყოფის აქტუალური პრობლემების დასამუშავებლად, ამასთან ითვალისწინებს მეცნიერული კვლევის თემატიკაში სატყეო-სამეურნეო წარმოების საკითხთა შესწავლას ცალკეულ სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა ეკონომიკური ეფექტიანობის დასაბუთებით, ყოველმხრივ უწყობს ხელს დამთავრებული მეცნიერული ნამუშევრებისა და რეკომენდაციების პრაქტიკულად დანერგვას წარმოებაში;

— ხელმძღვანელობს რესპუბლიკის სახელმწიფო ნაკრძალების საქმიანობას, შეიმუშავებს ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობათა მდგომარეობისა და საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ფლორისა და ფაუნის ძვირფასი სახეობების დაცვა-შენარჩუნებისა და გამრავლების, სამეცნიერო-კვლევით და საწარმოო სამუშაოთა განხორციელებას;

— უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციას სატყეო მეურნეობისა და სატყეო მრეწველობის დარგში;

— ახორციელებს სატყეო-სამეურნეო სამუშაოებს ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მწვანე ზონებში ტყის კორომების ფორმირებისათვის, რომლებიც ყველაზე სრულად შეესაბამებიან სარეკრეაციო მიზნებს, სანიტარიულ-ჰიგიენურ და ესთეტიკურ მოთხოვნებს, აგრეთვე მშრომელთა მასობრივი დასვენების უზრუნველყოფისათვის საჭირო სამუშაოებს;

— იღებს ზომებს წყალშემნახავი, დაცვითი ტყეების, ძვირფასი ტყის მასივების, მწვანე ზონების ტყეების და კლიმატმარეგულირებელი, სანიტარიულ-ჰიგიენური, გამაჯანსაღებელი და სხვა დაცვითი ფუნქციების შემსრულებელი ტყეების შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის; შეიმუშავებს და ახორციელებს ამ ტყეების სასარგებლო ფუნქციების გაძლიერებისათვის საჭირო ღონისძიებებს;

— ტყის ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით აწარმოებს ტყის ნოვლით ჭრებს, სანიტარიულ ჭრებს და იაფფასიანი კორომების რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ ჭრებს, ახორციელებს ტყეების ასაკობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების ღონისძიებებს;

— აწარმოებს სამეურნეო თვალსაზრისით ძვირფასი ხის ჯიშების სელექციის, სატყეო მეთესლეობისა და ჯიშთგამოცდის სამუშაოებს;

— აწყობს და ავითარებს სატყეო მეთესლეობის საქმეს და ტყის სანერგეებს, უზრუნველყოფს მერქნიანი და ბუჩქოვანი ჯიშების თესლის დამზადებას, სარგავი მასალის გამოყვანას იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს სატყეო მეურნეობის საწარმოების ,კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოთხოვნილება ამ მასალაზე;

— კონტროლს უწევს ტყის თესლების დამზადებას, გადამუშავებას, შენახვასა და ხარისხს, ტყეთაღდგენით სამუშაოთა ხარისხს ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა;

— ახორციელებს ტყეების აღდგენას ნაკაფებზე, ნახანძრალებზე, უდაბურ, მეჩხერ და დაბალი სიხშირის ფართობებზე, ხელოვნური ტყის გაშენებისა და ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის გზით, აგრეთვე წყალგამყოფების, მთის ნაგაკებისა და მდინარეთა აუზების, ხევებისა და ეროზირებული ფართობების გატყიანების გზით სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე და სხვა მიწის ნაკვეთებზე.

— ნერგავს ტყის საკულტურო ფართობებზე სწრაფმზარდი ხეხილის, მეურნეობრივად ძვირფას და ტექნიკურ მერქნიან ჯიშებს;

— ახორციელებს ნაკლებპროდუქტიული, დაბალი სიხშირის კორომების, ბუჩქნარის, აგრეთვე მეჩხერი და სახელმწიფო ტყის ფონდის სხვა ფართობების რეკონსტრუქციას იმ მიზნით, რომ მიიღოს ამ ფართობებზე ძვირფასი და სწრაფმზარდი მაღალმწარმოებლური ჯიშის ნარგავები;

— ახორციელებს ძვირფასი, ენდემური და რელიქტური ჯიშების: ბზის, უთხოვრის, ძელქვის, ელდარისა და ბიჭვინთის ფიჭვის, კაკლისა და სხვათა აღდგენასა და გაშენებას, რომლებსაც სამეურნეო და სამეცნიერო მნიშვნელობა აქვთ;

— ახორციელებს ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების, ჭარბტენიანი მიწების დაშრობის, ნიადაგების წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის, დაჭაობების, დამლაშების და ნიადაგების მდგომარეობის გამაუარესებელი სხვა პროცესების თავიდან აცილების ღონისძიებებს; კონტროლს უწევს სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებას და ამ მიწების დაცვას;

— ადგენს ტყის აღდგენით სამშაოთა განხორციელების ხერხებსა და წესს ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა;

— დახმარებას უწევს სამინისტროებს, უწყებებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს სატყეო მეურნეობის დაგეგმვასა და გაძღოლაში;

— დახმარებას უწევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სატყეო მეურნეობის დაგეგმვისა და გაძღოლის ორგანიზაციაში, ხოლო საჭირო შემთხვევებში ორგანიზაციას უკეთებს კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ ;ორგანიზაციებისა, რომლებიც ეწევიან სატყეო მეურნეობას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტყეებში) სა-

ტყეო-სამეურნეო, სატყეო-საკულტურო და ტყის დაცვის სამუშაოთა ჩატარებას;

— ამოწმებს სატყეო მეურნეობის გაძღოლის, ტყის რესურსების გამოყენების, მავნე მწერებისა და დაავადებებისაგან ტყეების დაცვის ორგანიზაციის, ხანძრებისა და თვითნებური ჭრისაგან, აგრეთვე საწარმოებისა და ორგანიზაციების (მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) ისეთი მოქმედებისაგან ტყეების დაცვის მდგომარეობის სისწორეს, რაც ზიანს აყენებს ტყეს, მათთვის მიჩენილ ტყეებში (იმ ტყეების გარდა, რომლებშიც სპეციალური რეჟიმია დაწესებული მთავრობის გადაწყვეტილებებით), ან იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების მოქმედებისაგან, რომლებიც ეწევიან მუშაობას ტყეებში;

— ხელმძღვანელობს მავნებლებისა და დაავადებებისაგან, ხანძრებისაგან, თვითნებური ჭრისა და სხვა დარღვევებისაგან ტყეების დაცვის სამუშაოებს;

— უზრუნველყოფს სატყეო მეურნეობის, აგრეთვე დაცვითი ტყის გაშენების ობიექტების დაპროექტების კოორდინაციას და ხელმძღვანელობას მათდამი;

— უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიან გამოყენებას, ახალი მშენებლობის რაციონალურ განლაგებას, კაპიტალურ დაბანდებათა წარმართვას, უწინარეს ყოვლისა, მოქმედ საწარმოთა ტექნიკური კვლავაღჭურვისათვის, კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაციას ასამუშავებელ ობიექტებზე და დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირებას;

— შეიმუშავებს და ამტკიცებს დადგენილი წესით მშენებლობათა და საპროექტო სამუშაოთა სატიტულო სიებს მომავალი წლების მშენებლობისათვის, კონტროლს უწევს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხს და მშენებლობის დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვას, აგრეთვე ახორციელებს ტექნიკურ ზედამხედველობას სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და მისაწოდებელი მოწყობილობის ხარისხისადმი;

— უზრუნველყოფს კონტროლს იმისადმი, რომ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა გაანაწილონ კაპიტალური მშენებლობისათვის საჭირო მოწყობილობის შეკვეთები ამ მიზნით გამოყოფილ ასიგნებათა შესაბამისად;

— კონტროლს უწევს საიჯარო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული მშენებლობის მიმდინარეობას;

— ნიშნავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო კომისიებს საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა ექსპლუატაციაში მისაღებად;

— აწყობს ძირითადი ფონდების კაპიტალურ რემონტს, აგრეთვე შენობათა და ნაგებობათა ტექნიკური და საექსპლუატაციო მდგომარეობის გაუმჯობესებას, ახორციელებს რემონტის ხარისხის ამაღლებისა და მისი გაიაფების ღონისძიებებს ;

— განსაზღვრავს სამინისტროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მოთხოვნილებებს მოწყობილობაზე, ნედლეულზე, სათბობსა და სხვა მატერიალურ რესურსებზე და წარუდგენს დადგენილი წესით განაცხადებს შესაბამის საგეგმო ორგანოებს;

— განაგებს სამინისტროსათვის გამოყოფილ მატერიალურ რესურსებს, პასუხისმგებელია თავის საქვეუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისათვის;

— საჭირო შემთხვევებში გადაანაწილებს გამოყოფილ ფონდებს საწარმოო პროგრამისა და კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების გათვალისწინებით;

— კონტროლს უწევს ნედლეულის, მასალების, სათბობის, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური რესურსების ფონდების რეალიზაციას, აგრეთვე საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან ხელშეკრულებათა დროულად დადებას პროდუქციისა და საქონლის მიწოდების შესახებ და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას;

— კონტროლ სუწევს სამინისტროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ ნედლეულის, სათბობის, მოწყობილობის და სხვა მატერიალური რესურსებისა და ფასეულობების სწორად გამოყენებას, იღებს ზომებს ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური რესურსების რეალიზაციისათვის დადგენილი წესით;

— შეიმუშავებს და ახორციელებს ნედლეულის, მასალების, სათბობის ეკონომიურად ხარჯვის, წარმოებაში დანაკარგების შემცირების, საწარმოო ნარჩენების გამოყენებისა და სხვა ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მატერიალური რესურსების ეფექტიანი გამოყენება;

— ახორციელებს საწარმოო პროცესთა კომპლექსურ მექანიზაციას სამინისტროს სისტემის საწარმოებში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და საწარმოო გამოცდილების ფართოდ გამოყენების საფუძველზე;

— ახორციელებს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების, სამინისტროს სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ რენტაბელობის ამაღლებისა და დაგროვების გადიდების, ძირითადი ფონდების, საბრუნავი სახსრებისა და ბანკის კრედიტების ეფექტიანი გამოყენების ღონისძიებებს;

— აფინანსებს დადგენილი წესით საქვეუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, ხელმძღვანელობს მათს საფინანსო საქმიანობას, ახორციელებს კონტროლს ფინანსური რესურსების გამოყენებისადმი;

უზრუნველყოფს სამინისტროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ საფინანსო გეგმების შესრულებას, საკუთარი საბრუნავი სახსრების დაცვა-შენარჩუნებას, მუშა-მოსამსახურეებთან, ბიუჯეტთან, მიმწოდებლებთან, მოიჯარეებთან, ბანკებთან დროულ ანგარიშსწორებას, აგრეთვე კაპიტალური რემონტის, კაპიტალური მშენებლობის დასაფინანსებლად და საფინანსო გეგმით გათვალისწინებული სხვა მიზნებისათვის განკუთვნილი საკუთარი სახსრების გადარიცხვას საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ;

— ქმნის დადგენილი წესით ახალი ტექნიკის ათვისების ფონდებს, ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემირების და სხვა ცენტრალიზებულ ფონდებს, აგრეთვე რეზერვს სამინისტროს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად;

— ახდენს სამინისტროს საქვეუწყებო საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან ჭარბი საბრუნავი სახსრების ამოღებას წლიური ანგარიშების შედეგების მიხედვით მათი გადანაწილების წესით;

— ადგენს სატყეო მეურნეობის საქმიანობის, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების, სამეურნეოანგარიშიანი საქმიანობის გეგმებს, შეიმუშავებს შრომის, თვითღირებულების, რეალიზაცის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, კადრების მომზადების, კაპიტალური დაბანდებებისა და კაპიტალური რემონტის საგეგმო დავალებებს (პერსპექტიულს, წლიურს, კვარტალურსა და თვიურს), აგრეთვე შემოსავალ-გასავლის ბალანსებს, საფინანსო გეგმებს — როგორც კრებსითს, ისევე საქვეუწყებო დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის;

— ამტკიცებს დადგენილი წესით საქვეუწყებო დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა გეგმებს, შტატებსა და დაფინანსების ლიმიტებს;

— აწყობს სტატისტიკურ აღრიცხვას სამინისტროს სისტემის დაწესებულებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

— აწყობს საბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგებას საქვეუწყებო დაწესებულებებში, ორგანიზაციებში და ხელმძღვანელობს მათ დაყენებას;

— ამტკიცებს ბალანსებს, ადგენს პერიოდულ და წლიურ საბუღალტრო ანგარიშებს საქმიანობის ყველა განაყოფის მიხედვით, ახორციელებს მეურნეობისა და მისი ეკონომიკის მდგომარეობის ყოველმხრივ ანალიზს სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

— აწყობს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას, უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დოკუმენტური რევიზიების რეგულარულ ჩატარებას, კონტროლს უწევს აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად წარმოებასა და უტყუარობას, ახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო ქონების დასაცავად და მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად;

— ხელმძღვანელობს კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, მუშათა მუდმივი კადრების შექმნას, წარმოების ორგანიზაციისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებას მძიმე და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საფუძველზე;

—აწარმოებს სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე მერქნისა და ხე-ტყის ნარჩენების დამზადებას, გამოზიდვასა და გადამუშავებას, ახორციელებს სამასალე მერქნის, დახერხილი მასალის, შეშის ხის დამუშავების ნაწარმის, სახალხო მოხმარებისა და საწარმოო დანიშნულების საქონლის წარმოებას, მიწოდებასა და რეალიზაციას;

— კონტროლს უწევს საქვეუწყებო საწარმოთა მიერ ტყის პროდუქციის გამოშვების, მიწოდებისა და რეალიზაციის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულებას;

— გეგმავს სამინისტროს მიერ მისაწოდებელი პროდუქციის საავტომობილო და სარკინიგზო გადაზიდვას და კონტროლს უწევს მის შესრულებას;

— შეიმუშავებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სამრეწველო პროდუქციის გამოშვების სიმძლავრეთა ზრდა და მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა;

— უზრუნველყოფს სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დანერგვასა და დაცვას;

— ხელმძღვანელობს მუშაობას პროდუქციის ხარისხის მართვის ეფექტიანობის ამაღლებისათვის სტანდარტიზაციის საფუძველზე, ეფექტიანობისა და ხარისხის პრობლემათა კომპლექსურად გადაჭრას;

— ხე-ტყის, ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოსთან და ხე-ტყის მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებასთან ერთად ახორციელებს მუშაობას გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებისათვის;

— ხელმძღვანელობს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას სამინისტროს საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, ახორციელებს ღონისძიებებს შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და გაჯანსაღებისათვის, ამასთან უზრუნველყოფს უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების განუხრელ დაცვას;

— აწყობს სოფლის დამხმარე მეურნეობებს სატყეო მეურნეობის საქვეუწყებო საწარმოებში, ახორციელებს თესლის, სამკურნალწამლო ნედლეულისა და არაპირდაპირი სარგებლობის სხვა პროდუქციის დამზადებასა და რეალიზაციას (თიბვა, გარეული ხილისა და კენკრის კრეფა და გადამუშავება წიაღისეულის დამუშავება და ა. შ.). სოფლის მეურნეობის პროდუქტების, საკვების წარმოებასა და გადამუშავებას, ტბორების მოწყობას სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების ტერიტორიაზე და ბუნებრივი წყალსატევების გამოყენებას თევზის ხელოვნურად მოშენების მიზნით;

— ხსნის მაღაზიებს, სავაჭრო სახლებს, სასადილოებს, კაფეებსა და სხვა ობიექტებს, აწყობს ბაზრობებს და მონაწილეობს მათში საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ წარმოებული პროდუქციის პროპაგანდისა და რეკლამის, აგრეთვე მისი რეალიზაციის მიზნით;

— ხელმძღვანელობს სამონადირეო მეურნეობას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე და ახორციელებს კონტროლს ნადირობის წესებისა და ვადების დაცვის და სამონადირეო მეურნეობის გაძღოლისადმი.

8. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო ხე-ტყის, ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად;

— ხელმძღვანელობს კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებას და ახორციელებს კონტროლს მათი შესრულებისადმი;

— უზრუნველყოფს სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას;

— აწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას, ხელს უწყობს კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის განვითარებას, ამტკიცებს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობებს, აჯამებს სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და ანიჭებს გამარჯვებულ კოლექტივებს გარდამავალ წითელ დროშებსა და

ფულად პრემიებს, აკუთვნებს კომუნისტური შრომის კოლექტივების საწარმოებისა და ორგანიზაციების წოდებებს, უზრუნველყოფს მოწინავე გამოცდილების შესწავლას, განზოგადებასა და გავრცელებას;

— აჯილდოებს საწარმოთა და ორგანიზაციათა მოწინავე მუშაკებს სამკერდე ნიშნებით, საპატიო სიგელებით და იყენებს წახალისების სხვა სახეობებს.

9. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო უზრუნველყოფს სოციალისტური საკუთრების დაცვასა და სახანძრო უსაფრთხოების წესების შესრულებას საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში და მიიღებს ზომებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

10. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს უფლება აქვს:

— ჩაბას შესაბამის სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან და უწყებებთან შეთანხმებით უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი, სპაროექტო და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები ,აგრეთვე მეცნიერი მუშაკები და სპეციალისტები სატყეო მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების დამუშავებაში;

— მოისმინოს სამინისტროს კოლეგიის სხდომებზე იმ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წარმომადგენელთა ინფორმაციები, რომლებსაც მიჩენილი აქვთ ტყეები ან ეწევიან მუშაობას ტყეებში, სატყეო მეურნეობის გაძღოლის, ტყის დაცვისა და ტყის რესურსების სწორად გამოყენების საკითხებზე;

— მისცეს იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირებს, რომლებსაც მიჩენილი აქვთ ტყეები ან ეწევიან მუშაობას ტყეებში, სავალდებულო მითითებანი სატყეო მეურნეობის გაძღოლის წესების, დებულებებისა და ინსტრუქციების დარღვევათა, ტყეების დაცვისა და ტყესაკაფი ფონდის გამოყენების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, ტყეებში არაპირდაპირი სარგებლობის პროდუქტების დამზადების შესახებ, ამასთან შეატყობინოს ეს მათ ზემდგომ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს;

— მიიღოს იმ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან, რომლებსაც მიჩენილი აქვთ ტყეები ან ეწევიან მუშაობას ტყეებში, მასალები სატყეო მეურნეობის გაძღოლის ტყეების დაცვისა და ტყის რესურსების სწორად გამოყენების საკითხებზე;

— დაუდოს მხოლოდდამხოლოდ ნებაყოფლობის საფუძველზე თავის მუშაკებს ხელშეკრულებანი მათთან კოოპერირების გზით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შესახებ;

— მიიღოს ძირითად საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის ზიანის მიუყენებლად შეკვეთები სამუშაოთა წარმოებისა და ზეგეგმითი პროდუქციის დამზადებაზე შემკვეთის ნედლეულითა და მასალებით ან წარმოების ნარჩენებით;

— განახორციელოს სამეურნეო და საიჯარო წესით საწარმოო, საბინაო-საყოფაცხოვრებო, სამელიორაციო, საგზაო და სხვა სამშენებლო სამუშაოები და საქვეუწყებო საწარმოთა და დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური

ბაზის განვითარების, სისტემის მუშაკთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებანი;

— შექმნას სამინისტროში სამხატვრო-ტექნიკური საბჭო სუვენირების, სახალხო მოხმარებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის პროექტებისა და ნიმუშების დასამტკიცებლად.

11. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს თანამდებობის პირებს უფლება აქვთ დაათვალიერონ დადგენილი წესით საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები ადგილებზე თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობათა შესასრულებლად.

12. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო თავის მუშაობას წარმართავს დარგისადმი ხელმძღვანელობის ყველა საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში კოლეგიურობისა და ერთმმართველობის შეხამების საფუძველზე, ამასთან აწესებს თანამდებობის პირთა ზუსტ პასუხისმგებლობას მინდობილ სამუშაო უბანზე საქმის მდგომარეობისა და განსაზღვრულ დავალებათა შესრულებისადმი.

13. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რაც შემდგომ შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მინისტრის მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი.

14. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროში იქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: მინისტრი (კოლეგიის თავმჯდომარე) და მინისტრის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სამინისტროს კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი პერსონალურად პასუხისმგებელია სამინისტროსადმი დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, აწესებს მინისტრის მოადგილეთა, სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსთა, სამინისტროს სხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას სამინისტროს საქმიანობის ცალკეული დარგებისადმი ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე სამინისტროს სისტემის საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობისათვის.

15. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი:

ა) ხელმძღვანელობს სამინისტროს საქმიანობას;

ბ) ამტკიცებს სამინისტროს სამმართველოთა, განყოფილებათა და სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფთა დებულებებს, აგრეთვე დადგენილი წესით სამინისტროს საქვეუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წესდებებს (დებულებებს);

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ქმნის, გარდაქმნის და აუქმებს დადგენილი წესით სამინისტროს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს;

დ) ანიჭებს სამეურნეოანგარიშიან უფლებებს სამინისტროს სამმართველოებსა და განყოფილებებს;

ე) ავალებს სამინისტროს კომპეტენციაში შემავალ ცალკეულ საკითხთა გადაწყვეტას სამინისტროს სამმართველოებსა და განყოფილებებს და სატყეო მეურნეობის ტერიტორიულ ორგანოებს;

ვ) ნიშნავს თანამდებობაზე და ათავისუფლებს თანამდებობიდან სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს და სამინისტროს საქვეუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაკებს დადგენილი ნომენკლატურის შესაბამისად;

ზ) აუქმებს დადგენილი წესით საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემულ იმ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს რომლებიც ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას;

თ) შეაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად კანონთა, დადგენილებათა პროექტები რესპუბლიკის ყველა სატყეო მეურნეობის საკითხებზე;

ი) იწვევს დადგენილი წესით თათბირებს, რომლებზეც ისმენენ და განიხილავენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების, სატყეო მეურნეობის განვითარების საკითხებს, აგრეთვე სამინისტროსა და მისი საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

16. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, ინსტრუქციებს, სხვა აქტებს და აძლევს მითითებებს სსრ კავშირის კანონების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების, საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებების, ბრძანებების, ინსტრუქციების, სხვა აქტებისა და მითითებების საფუძველზე და შესასრულებლად, ორგანიზაციას უწევს და ამოწმებს მათს შესრულებას.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო საჭირო შემთხვევებში გამოსცემს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან და უწყებებთან ერთად ერთობლივ აქტებს.

17. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს კოლეგია რეგულარულად მოწვეულ სხდომებზე განიხილავს სატყეო მეურნეობის განვითარების ძირითად საკითხებსა და სამინისტროს საქმიანობის სხვა საკითხებს, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, ისმენს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სატყეო მეურნეობის მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სატყეო მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოხსე-

ნებებს, სამინისტროს სამმართველოთა და განყოფილებათა, სამინისტროს სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებლებათა ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, მინისტრის ბრძანებებით. მინისტრსა და კოლეგიას შორის თანხმოების შემთხვევაში მინისტრი განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

18. სატყეო მეურნეობის დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებებზე წინადადებათა განსახილველად, მეცნიერულად დასაბუთებული ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის დასადგენად, სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების და მოწინავე გამოცდილების გამოყენებისა და დანერგვის თაობაზე რეკომენდაციების შესამუშავებლად საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროში შეიქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო თვალსაჩინო მეცნიერთა, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა, წარმოების ნოვატორთა, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს დებულებასა და შემადგენლობას დაამტკიცებს მინისტრი.

19. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსთან იქმნება არბიტრაჟი სამინისტროს სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შორის წამოჭრილი სამეურნეო დავის განსახილველად.

სამინისტროს არბიტრაჟს უფლება ეძლევა გამოსცეს ბრძანებები მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა იძულებითი წესით შესრულების შესახებ.

არბიტრაჟის დებულებასა და შემადგენლობას ამტკიცებს მინისტრი.

20. სატყეო მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების პროექტების განსახილველად და დასამტკიცებლად იქმნება ტყეთმოწყობის კომისია.

ტყეთმოწყობის კომისიის დებულებასა და შემადგენლობას ამტკიცებს მინისტრი.

21. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო უზრუნველყოფს მშრომელთა წერილების (განცხადებებისა და საჩივრების) დროულად და ყურადღებით განხილვას, ამასთან აღწევს ამ წერილებში აღძრული საკითხების სწორად გადაწყვეტას, აგრეთვე იღებს ზომებს სატყეო მეურნეობის ორგანოთა მუშაობაში და სამინისტროს საქვეუწყებო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქმიანობაში იმ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რომელთა შესახებაც იუწყებიან თავიანთ წერილებში მშრომელები.

22. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე სამინისტროს სამმართველოთა და გან-

ყოფილებათა დებულებებს ამტკიცებს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი.

23. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი სახელწოდება.

---

51 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 10 მაისის № 298 დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

„ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 10 მაისის № 298 დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. „ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 5 ნოემბრის № 636 დადგენილების I პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში, სიტყვების „ქალაქ ქუთაისში“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „(გარდა ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონისა)“.

2. „საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 20 სექტემბრის № 644 დადგენილების მე-13 პუნქტში სიტყვის „ქუთაისში“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „(გარდა ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონისა)“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 14 ივლისი, № 475

52 მოსახლეობისათვის მისაწოდებელი ქსელის გაზის მოხმარების ნორმებისა და ტარიფების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 12 ივლისის № 497 დადგენილების დამატებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს მოსახლეობასთან ურთიერთანგარიშსწორებისათვის **ქსელის გაზის მოხმარების ნორმები, № 1 დანართის თანახმად.**

2. დაწესდეს 1983 წლის 1 ივლისის გაზის მრიცხველებით არაუზრუნველყოფილ ბინებში მცხოვრები მოსახლეობისათვის მისაწოდებელი ქსელის გაზის გადასახდელი, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტთან, № 2 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 18 ივლისი, № 483

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 18 ივლისის № 483 დადგენილების დანართი № 1

ნ ო რ მ ე ბ ი

მოსახლეობისათვის მისაწოდებელი ქსელის გაზის მოხმარებისა

სახარჯი გაზის დანიშნულება	ზომის ერთეული	ნორმა
გაზის ქურით სარგებლობისას	კუბური მეტრი 1 კაცზე თვეში	10
ცხელი წყალმომარაგებისათვის გაზის წყალსაცხელებლებით სარგებლობისას	კუბური მეტრი 1 კაცზე თვეში	10
სადგომის გასათბობად გაზის წყალსაცხელებელი ხელსაწყოებით სარგებლობისას გათბობის პერიოდის განმავლობაში	კუბური მეტრი 1 კვადრატულ მეტრ გასათბობ ფართობზე თვეში	9
სადგომის გასათბობად „აოგ-5“ ტიპის გაზის ბუხრით სარგებლობისას გათბობის პერიოდის განმავლობაში	კუბური მეტრი 1 დანადგარზე თვეში	350

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 18 ივლისის № 483 დადგენილების დანართი № 2

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ი

მოსახლეობისათვის მისაწოდებელი ქსელის გაზისა

სახარჯი გაზის დანიშნულება	ზომის ერთეული	გადასახ-დელი
გაზის ქურით სარგებლობისას	კაპიკი 1 კაცზე თვეში	50
ცხელი წყალმომარაგებისათვის გაზის წყალსაცხელებლებით სარგებლობისას	კაპიკი 1 კაცზე თვეში	20
სადგომის გასათბობად გაზის წყალსაცხელებელი ხელსაწყოებით სარგებლობისას გათბობის პერიოდის განმავლობაში	კაპიკი 1 კვადრატულ მეტრ გასათბობ ფართობზე თვეში	18
სადგომის გასათბობად „აოგ-5“ ტიპის გაზის ბუხრით სარგებლობისას გათბობის პერიოდის განმავლობაში	მანეთი და კაპიკი 1 დანადგარზე თვეში	7

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

53 თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული დარგთაშორისი საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიული სამმართველოების დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ

ქალაქ თბილისისა და მისი რაიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მართვის სრულყოფის ექსპერიმენტის წარმატებით განხორციელების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დროებითი დებულება თბილისი სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული დარგთაშორისი საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიული სამმართველოების შესახებ, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან.

2. დამტკიცდეს თბილისი სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული დარგთაშორისი საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიული სამმართველოების სტრუქტურა და შტატები, № 1 და 2 დანართების თანახმად.

3. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ განიხილონ და გადაწყვიტონ დარგთაშორისი საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიული სამმართველოს საჭირო ეკონომიკურ-სტატისტიკური ინფორმაციით უზრუნველყოფის საკითხი, ხოლო აუცილებლობის კვალობაზე წარმოუდგინონ წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წლის, 19 ივლისი, № 486

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 19 ივლისის № 486 დადგენილებით

დროებითი დებულება

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული სამმართველოების შესახებ

შესავალი

1. ქალაქ თბილისის ეკონომიკის მართვის ახალი სქემის შესაქმნელად ექსპერიმენტი ხორციელდება ქალაქის ეკონომიკის მართვის სრულყოფის, მისი

ეკონომიკური პოტენციალის, შრომითი და მატერიალური რესურსების უფრო სრულად და რაციონალურად გამოყენების მიზნით, საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების უფლებამოვალეობათა გაფართოების საფუძველზე.

2. ქალაქ თბილისი ეკონომიკის მართვის ახალი სქემის შესაქმნელად ექსპერიმენტი ხორციელდება ორ ეტაპად: ქალაქის ადმინისტრაციული რაიონების დონეზე (პირველი ეტაპი) და საერთო-საქალაქო დონეზე (მეორე ეტაპი).

ექსპერიმენტის განხორციელების პროცესში დაცულია დაგეგმვისა და მართვის ერთიანი სისტემის შექმნის ძირითადი პრინციპი: საწარმო — რაიონი — ქალაქი, თითოეულ მათგანში მეურნეობის გაძღოლის სპეციფიკის გათვალისწინებით.

3. ამ ექსპერიმენტის განხორიცელების სამუშაოთა მეთოდიკური ხელმძღვანელობა და კოორდინაცია ეკისრება თბილისი სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიას, რომლის შემადგენლობაში ამ ფუნქციების შესასრულებლად იქმნება ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფი — დარგთაშორის საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიული სამმართველო.

ახალშექმნილი სამმართველო შემდგომში განიხილება როგორც თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საქალაქო საგეგმო კომისიის პირველსახე, რომელსაც დაეკისრება აღმასკომის გაფართოებული ფუნქციები ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური დაგეგმვის და ამ საფუძველზე ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) ერთიანი მართვის და მათ საქმიანობის კოორდინაციის განსახორციელებლად.

ექსპერიმენტის განხორციელების პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია შემუშავდეს და დაინერგოს დარგთაშორისი საგეგმო-სამეურნე ტერიტორიული მართვის ახალი სქემები ქალაქ თბილისის ქენინის, პირველი მაისისა და საქარხნო რაიონებში.

ზოგადი დებულებანი

1. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებულ დარგთაშორის საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიულ სამმართველოებს ქმნიან თბილისი სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოები საგეგმო კომისიების და იმ საშტატო ერთეულების ბაზაზე, რომელთაც გადასცემენ წილობრივი მონაწილეობის წესით ქალაქის (რაიონის) ტეტიტორიაზე განლაგებული საწარმოები ,საწარმოო გაერთიანებები და სამეურნეო ორგანიზაციები. რაიონული სამმართველო ექვემდებარება როგორც სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს, ისევე თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიას (ექსპერიმენტის მეორე ეტაპზე — დარგთაშორის საგეგმო-სამეურნეო სამმართველოს).

2. თბილისის სახალხო დეპუტატათა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული დართა'ძორისი საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიული საშმართველოები თაიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის კონსტიტუციათა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავ'ძირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავ'ძირიკ მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის, სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოს, ძისი აღმასკომის გადაწყვეტილებებით და დაგეგმვისა და მართვის საკითხებზე სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით.

3. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული დარგთა'ძორისი საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიული სამმართველოების მთავარი ამოცანაა სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ საქვუწყებო ტერიტორიის კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფა, მათი საკოორდინაციო და საკონტროლო ფუნქციების გაფართოება წარმოების სახალხო-სამეურნეო ეფექტიანობის შემდგომი გადიდებისა და ქალაქის (რაიონის) მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით.

4. მთავარი ამოცანიდან გამომდინარე, თბილისი სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული დარგთა'ძორისი საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიული სამმართველოების საგეგმო-მმართველობითი ფუნქციები მოიცავენ როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის დარგებისა და ობიექტების, ისევე ქალაქის (რაიონის) ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოსა დ ა ორგანიზაციის (მიუხედავად მათი უწდებრივი დაქვემდებარებისა) განვითარების საკითხებს.

5. თბილისი სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული დარგთა'ძორისო საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიული სამმართველოების ფუნქციების განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ქალაქისა და მისი რაიონების მთელი რიგი ობიექტური თავისებურებანი, კერძოდ, უმეტეს საწარმოთა და ორგანიზაციათა უშუალოდ დაქვემდებარება საქალაქო და ზემდგომი დარგობრივი ორგანიზაციებისადმი, რაიონული მნიშვნელობის დარგების, ობიექტებისა და საკითხების სპეციფიკური კომპლექსის არესსებობა, ცალკეული რაიონების დიდი დამოკიდებულება ერთმანეთზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხთა გადაწყვეტაში, საერთოსაქალაქო დონეზე ამ საკითხთა გადაწყვეტის აუცილებლობა და სხვ.

6. რაიონული მნიშვნელობის დარგებსა და ობიექტებს მიეკუთვნება საბინაო-კომუნალური მეურნეობა, განათლება (სკოლები და საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებები), ჯანმრთელობის დაცვა (ამბულატორია-პოლოკლინიკების ქსელი), კულტურა (კინოთეატრები, კლუბები, ბიბლიოთეკები), ვაჭრობა (სასურსათო საქონლის ნაწილში) და საზოგადოებრივი კვება ,საყოფაცხოვრებო მომსახურების ძირეული ქსელი. რაიონულ დონეზე უნდა გადაწყდეს აგრეთვე საბინაო ფონდისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების კაპიტალური რემონტის, გზებისა დატროტუარების რემონტის, შრომითი რესურ-

სების რაციონალური გამოყენების, გარემოს დაცვის მეტი წილი საკითხები და ა. შ.

7. თბილისი სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული დარგთაშორისი საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიული სამმართველოების საგეგმო-მმართველობითი საქმიანობის სფეროში (მათი კომპეტენციის ფარგლებში) შედის ქალაქის (რაიონის) ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების ყველა საწარმო და ორგანიზაცია

უფლება-მოვალეობანი

8. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული დარგთაშორისი საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიული სამმართველოების უფლება-მოვალეობანი დაგეგმვისა და მართვის დარგში განისაზღვრება „სამეურნეო მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შედგომი ამაღლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 19 მარტის № 292 დადგენილების ძირითადი მოთხოვნების პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებლობის გათვალისწინებით.

9. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული დარგთაშორისი საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიული სამმართველოების უფლება-მოვალეობანი დაგეგმვის დარგში განისაზღვრება შესაბამისად დებულებისა სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 29 მარტის № 189 დადგენილებით.

10. დაგეგმვისა და კონტროლის დარგში თბილისი სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებულ დარგთაშორის საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიულ სამმართველოებს უფლება აქვთ მიიღონ:

— თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების განყოფილებებისა და სამმართველოებისაგან, დაქვემდებარების მიხედვით საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან ხუთწლიანი და წლიური გეგმები, გეგმების პროდუქტების შემუშავებისათვის, აგრეთვე ცალკეულ სამეურნეო საკითხებზე წინადადებათა მომზადებისათვის საჭირო მასალები, გაანგარიშებანი და დასაბუთებანი;

— ქალაქის (რაიონის) ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებებისაგან, მიუხედავად უწყებრივი დაქვემდებარებისა:

დადგენილი წესით ქალაქის (რაიონის) ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტების შედგენისათვის საჭირო საგეგმო და გაანგარიშებული მაჩვენებლები და სხვა მაჩვენებლები;

სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების კრებსითი ხუთწლიანი და წლიური გეგმების, საბინაო-კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, მეორეული რესურსებისა და კვების ნარჩენების შეგროვების და სხვა გეგმების შემუშავებისათვის საჭირო მასალები, გაანგარიშებანი და ძაჩვენებლები;

ამ დებულებით განსაზღვრული აღმასკომის საგეგმო-მმართველობითი და საკონტროლო ფენქციების განხორციელებისათვის საჭირო მთელი ინფორმაცია;

— საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს შესაბამისი ქვედანაყოფებისაგან დადგენილი წესით გეგმების შესრულებისადმი კონტროლის განხორციელებისათვის, ცალკეულ ეკონომიკურ საკითხებზე წინადადებათა შემუშავებისათვის საჭირო ყველა სტატისტიკური მასალა.

11. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული დარგთაშორისი საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიული სამმართველოების უფლება-მოვალეობებს მართვის დარგში მიეკუთვნება ის, რომ:

ა) განახორციელონ უშუალო პრაქტიკული მუშაობა ქალაქის (რაიონის) ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური კომპლექსური გეგმების დავალებათა რეალიზაციისათვის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ სამეურნეო ორგანიზაციათა საქმიანობის ოპერატიული კონტროლისა და კოორდინაციის საფუძველზე; მოამზადონ და განიხილონ ამ მიზნით დასკვნები საგეგმო დავალებათა რეალიზაციის მიმდინარეობის, იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც შეიტანეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებმა და ორგანიზაციებმა აღნიშნულ გეგმებში მიწათსარგებლობის, ბუნების დაცვის, მშენებლობის, შრომითი რესურსების გამოყენების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების საკითხთა ნაწილში;

ბ) განავითარონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, გაუმჯობესონ მისი ხარისხი და გააფართოონ ასორტიმენტი როგორც ძირითადი წარმოების სფეროში მთელი არსებული პოტენციური შესაძლებლობების რაციონალური გამოყენების, ისევე დამატებითი რესურსების მიზიდვის უზრუნველყოფის საფუძველზე;

გ) განახორციელონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვა წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დნერგვის შემდგომი დაჩქარების, გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და წარმოების ეფექტიანობის ყოველმხრივი ამაღლების მიზნით, ამასთან გამოყონ ქალაქში (რაიონში) ხელის შრომის შემცირების პერსპექტიული კომპლექსური პროგრამის ღონისძიებათა რეალიზაციისადმი კონტროლის კონკრეტული ფუნქციები;

დ) განახორციელონ აღმასკომის მარეგლამენტებელი ფუნქციები ქალაქის (რაიონის) ტერიტორიაზე ახალი სამრეწველო მშენებლობის წარმოების, მოქმედ საწარმოთა გაფართოების ან რეკონსტრუქციის, მომუშავეთა რაოდენობის

ზრდის ბუნების დაცვისა და სხვა საკითხების ნაწილში არსებული კანონმდებლობის თანახმად;

ე) მოაგვარონ ქალაქის (რაიონის) ტერიტორიაზე კაპიტალური მშენებლობის საკითხები აღმასკომში შემოსული მშნებლობათა სატიტულო სიების გამო დასკვნების განხილვისა და მომზადების საფუძველზე, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, საცხოვრებელი სახლების, კომუნალური მეურნეობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და ბუნების დაცვის ობიექტების მშენებლობის ნაწილში, იმ ვარაუდით, რომ მათი მშენებლობა მოცულობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის ვადების მიხედვით შეუთანხმონ საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას; კონტროლი გაუწიონ ამ ობიექტების მშენებლობის გეგმების პრაქტიკული რეალიზაციის მიმდინარეობას;

ვ) უზრუნველყონ კაპიტალური მშენებლობის გეგმების დაკავშირება სამშენებლო ორგანიზაციათა სიმძლავრეებთან და ქალაქის (რაიონის) შრომმით რესურსებთან, მოამზადონ წინადადებანი იმ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების საიჯარო სამუშაოთა გეგმების პროდუქტების გამო, რომლებიც ასრულებენ სამუშაოებს ქალაქის (რაიონის) ტერიტორიაზე;

ზ) უზრუნველყონ მეორეული რესურსების მაქსიმალური შეგროვება და გამოყენება, მატერიალური, ენერგეტიკული და სათბობის რესურსების რაციონალური ხარჯვა; შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა ქალაქი (რაიონი) გადაიქცეს უნარჩენებო წარმოების ქალაქად (რაიონად);

თ) უზრუნველყონ სამრეწველო საწარმოთა კოოპერირება სპეციფიკური დეტალების, ინსტრუმენტებისა და აღჭურვილობის დასამზადებლად; შეიმუშაონ წინადადებანი საჭიროების კვალობაზე ადგილობრივი დაქვემდებარების სპეციალიზებულ და მომსახურე საწარმოთა შექმნის შესახებ;

ი) შეიმუშაონ ღონისძიებანი კომერციული მუშაობის წარმოებისათვის საუწყებათაშორისო ინტერესების შეხამების, პარტნიორობისა და კოოპერაციის საფუძველზე;

კ) ორგანიზაცია გაუწიონ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შორის ხელშეკრულების დადებას წარმოების ნარჩენების, დროებით გამოუყენებელი საწარმოო სიმძლავრეების რაციონალური გამოყენების, ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, ჩაწოლილი მასალების გადანაწილების მიზნით; ორგანიზაცია გაუწიონ დამატებით ღონისძიებათა განხორციელების ხარჯზე მიღებული პროდუქციის გასაღებას სამეურნეო ხელშეკრულებათა საფუძველზე;

ლ) შეიმუშაონ და განახორციელონ ქალაქის (რაიონის) სასურსათო პროგრამა, დახმარება აღმოუჩინონ საწარმოებს საწარმოთა დამხმარე მეურნეობების საზოგადოებრივი მებაღეობისა და მებოსტნეობის შემდგომი განვითარების საქმეში და სხვ.;

მ)უზრუნველყონ ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლის ანარიცხების სახსრების მიზანდასახული და ეფექტიანი გამოყენება „სამეურნეო მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლების შესახებ“

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 19 მარტის № 292 დადგენილების მე-9 პუნქტის თანახმად;

ნ) ქალაქის (რაიონის) ტერიტორიაზე საწარმოო-სამეურნეო საკითხთა რეგულირების მიზნით სამმართველო მოისმენს როგორც სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის განყოფილებებისა და სამსახურების, ისევე მისი არასაქვეუწყებო საწარმოებისა და დაწესებულებების მოხსენებებს ამ სამმართველოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

12. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული დარგთაშორისი საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიული სამმართველოების სტრუქტურა განსაზღვრულია ქალაქის (რაიონის) ეკონომიკური და სოციალური განვითარების კრებსით-ტერიტორიული დაგეგმვის, სამრეწველო წარმოების, მშენებლობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სოცკულტყოფაცხოვრების დაგეგმვისა და მართვის, აგრეთვე ქალაქის (რაიონის) ტერიტორიაზე კომერციული მუშაობის ხაზით ადგილობრივი საბჭოების ფუნქციების შესაბამისად (ამ სამმართველოთა სტრუქტურა და შტატები თან ერთვის).

13. დაკისრებული ფუნქციების შესრულების ოპერატიულობისა და კომპეტენტურობის ამაღლების მიზნით თბილისი სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებულ დარგთაშორის საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიულ სამმართველოებთან იქმნება ხელმძღვანელთა საბჭო რაიონის წამყვანი დარგების საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა შემადგენლობით. საბჭო აღნიშნული სამმართველოს უმაღლესი კოლეგიური ორგანოა. საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებენ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების სესიები.

14. თბილისი სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებულ დარგთაშორის საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიულ სამმართველოებს სათავეში უდგანან უფროსები, რომლებიც ამავე დროს არიან სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების მოადგილეები, რომლებიც მეთაურობენ აგრეთვე საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა საბჭოებს.

15. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული დარგთაშორისი საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიული სამმართველოების უფროსთა და მათ მოადგილეთა დამტკიცება თანამდებობაზე და თანამდებობიდან განთავისუფლება ხდება „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის შესაბამისად.

16. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული დარგთაშორისი საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიული სამმართველოების უფროსები თავიანთ საქმიანობაში:

— ყოველდღიურ ხელმძღვანელობას უწევენ სამმართველოთა საქმიანობას, უზრუნველყოფენ ხელმძღვანელთა საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებას და პერსონალურად აგებენ პასუხს მათდამი რწმუნებული ორგანიზაციის მდგომარეობისა და საქმიანობისათვის;

— წარმოადგენენ სამმართველოთა ინტერესებს ყველა დაწესებულებაში მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად, დებენ ხელშეკრულებებს, განაგებენ სამმართველოსათვის მიჩენილ სახსრებს, ახმარენ ამ სახსრებს რაიონულ და საერთო-საქალაქო ღონისძიებებს, ხსნიან ბანკის დაწესებულებებში ანგარიშებს ქალაქის (რაიონის) საწარმოთა და გაერთიანებათა ფონდების ნაწილის ცენტრალიზაციისათვის;

— გამოსცემენ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, სამუშაოზე იღებენ და სამუშაოდან ათავისუფლებენ სამმართველოს მუშაკებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ამტკიცებენ შინაგანაწესს მოქმედი წესების თანახმად.

სამმართველოს სახსრები

17. ქალაქ თბილისის, მისი რაიონების სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში პრაქტიკული მონაწილეობის, თბილისი სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების სამეურნეო-ეკონომიკური და საფინანსო საქმიანობის მთელი კომპლექსის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად რეალური სტიმულირების შექმნის მიზნით თბილისი სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებულ შესაბამის დარგთაშორის საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიულ სამმართველოებს უფლება ეძლევათ იმ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით, რომელთა საწარმოები განლაგებულია ქალაქის (რაიონის) ტერიტორიაზე, მოახდინონ სახსრების ნაწილის აკუმულირება ანარიცხების სახით.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული დარგთაშორისი საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიული სამმართველოები ქმნიან შემდეგ ცენტრალიზებულ ფონდებს:

ა) წარმოების განვითარების ფონდს:

— საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა ანალიგიური ფონდების სახსრების ნაწილის ცენტრალიზაციის ხარჯზე ზემდგომ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით;

— ქალაქის (რაიონის) საწარმოებსა და ორგანიზაციებში სამმართველოს ხელშეწყობითა და დახმარებით შექმნილი ფართო მოხმარების ფონდის 5-პროცენტიანი ნაწილის ცენტრალიზაციის ხარჯზე (სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ 1981 წლის 17 სექტემბერს დამტკიცებული ფართო მოხმარების ფონდის შექმნისა და გამოყენების წესის ინსტრუქციის 2.1 პუნქტის შესაბამისად);

— სამმართველოს ხელშეწყობითა და დახმარებით ზედმეტი ან ხმარებიდან გამოსული ქონების რეალიზაციის შედეგად საწარმოებისა და ორგანიზა-

ციების მიერ მიღებული ამონაგების 7 პროცენტამდე ცენტრალიზაციის ხარჯზე;

ბ) მატერიალური წახალისების ფონდს:

— საწარმოთა და ორგანიზაციათა ანალოგიური ფონდების სახსრების ნაწილის ცენტრალიზაციის ხარჯზე ზემდგომ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით;

— სამრეწველო ნარჩენებისაგან სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებაში კოოპერაციის გზით სამმართველოს ხელშეწყობისა და დახმარების შედეგად მიღებული ფართო მოხმარების ფონდის სახსრების ხარჯზე საწარმოებისა და ორაგნიზაციების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მუშათა და მოსამსახურეთა პრემირებისათვის გათვალისწინებული სახსრების 5-10 პროცენტის ოდენობით ანარიცხების ცენტრალიზაციის ხარჯზე;

— წლის განმავლობაში საწარმოებში სამმართველოს ხელშეწყობისა და დახმარების შედეგად დაზიგილი და ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმით გაუთვალისწინებელი ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნისა და დანერგვის გამო პრემირებისათვის გამოყენებული სახსრების ნაწილის ცენტრალიზაციის ხარჯზე;

გ) სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ფონდს:

— საწარმოთა და ორაგნიზაციათა ანალოგიური ფონდების სახსრების ნაწილის ცენტრალიზაციის ხარჯზე ზემდგომ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით;

— სამმართველოს ხელშეწყობისა და დახმარების შედეგად საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ მეორეული ნედლეულის ჩაბარების გეგმების გადაჭარბებით შესრულების თანხის 20 პროცენტამდე ცენტრალიზაციის ხარჯზე.

სამართველოს შეუძლია მოახდინოს საჭირო შემთხვევებში აგრეთვე კაპიტალური რემონტისათვის საამორტიზაციო ანარიცხების რეზერვის და რაიონის საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გაწევის რეზერვის, აგრეთვე კოოპერაციის გზით და საწარმოებში ფართო მოხმარების ფონდის შექმნით სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებაში ხელშეწყობისათვის მიღებული სახსრების ნაწილის აკუმულირება.

18. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული დარგთაშორისი საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიული სამმართველოების სახსრები გამოიყენება:

— საკუთარი წარმოების განვითარების ღონისძიებათა განსახორციელებლად, აგრეთვე ქალაქის (რაიონის) საწარმოებისათვის დახმარების გასაწევად;

— სახალხო მოხმარების საქონლის, დარგთაშორისი პროდუქციის, ინსტრუმენტების, აღჭურვილობისა და სხვათა წარმოების გაფართოების დამატებით ღონისძიებათა დასაფინანსებლად;

— საჭიროების კვალობაზე საცხოვრებელი სახლების, სკოლების, კლუბების, ამბულატორულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების, საბავშვო ბაღების, ბაგებისა და რაიონის სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის, გაფართოებისა და კაპიტალური რემონტის დასაფინანსებლად.

19. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული დარგთაშორისი საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიული სამმართველოების მიერ სახსრების ხარჯვის ნუსხას განიხილავს და ამტკიცებს ხელმძღვანელთა საბჭო გამოუყენებელი სახსრები არ ჩამოერთმევათ და გადადის მომდევნო წელს.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებულ დარგთაშორის საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიულ სამმართველოებს აქვთ ბეჭედი, რომლებზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მათი დასახელება.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 19 ივლისის № 486 დადგენილების დანართი № 1

სტრუქტურა და შტატები

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული საქალაქო დარგთაშორისი საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიული სამმართველოსი

სტრუქტურა და თანამდებობა		საშტატო ერთეულების რაოდენობა	თვიური ხელფასი
ხელმძღვანელობა			
სამმართველოს უფროსი	.	1	240
სამმართველოს უფროსის მოადგილე	.	1	200
საქმისმწარმოებელი	.	1	75
მემანქანე	.	1	85
სულ	.	4	600
ქალაქის მრეწველობის დაგეგმვის განყოფილება			
განყოფილების უფროსი	.	1	180
განყოფილების უფროსის მოადგილე	.	1	150
უფროსი ინჟინერ-ეკონომისტი	.	1	135
უფროსი ეკონომისტი	.	1	135
ეკონომისტი	.	1	120
სულ	.	5	720
ქალაქის მრეწველობის მართვის განყოფილება			
განყოფილების უფროსი	.	1	180
განყოფილები უფროსის მოადგილე	.	1	150
უფროსი ინჟინერ-ეკონომისტი	.	1	135
უფროსი ეკონომისტი	.	1	135
ეკონომისტი	.	1	120
სულ	.	5	720
მთლიანად	.	14	2040

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 19 ივლისის № 486 დადგენილების დანართი № 2

სტრუქტურა და შტატები

ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული დარგთაშორისი საგეგმო-სამეურნეო ტერიტორიული სამმართველოებისა

სტრუქტურა და თანამდებობა	საშტატო ერთეულების რაოდენობა	თვიური ხელფასი
ხელმძღვანელობა		
რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე-საგეგმო კომისიის თავმჯდომარე-სამმართველოს უფროსი	1	240
სამმართველოს უფროსის მოადგილე	2	360
საქმისმწარმოებელი	1	75
მემანქანე	2	160
სულ	6	835
კრებსით-ტერიტორიული განყოფილება		
განყოფილების უფროსი	1	160
უფროსი ეკონომისტი	1	130
უფროსი ინჟინერ-ეკონომისტი	1	130
სულ	3	420
მრეწველობის დაგეგმვისა და მართვის განყოფილება		
განყოფილების უფროსი	1	160
უფროსი ეკონომისტი	1	130
უფროსი ინჟინერ-ეკონომისტი	1	130
სულ	3	420
მშენებლობის დაგეგმვისა და მართვის განყოფილება		
განყოფილების უფროსი	1	160
უფროსი ინჟინერ-ეკონომისტი	1	130
ეკონომისტი	1	115
სულ	3	405

სტრუქტურა და თანამდებობა	საშტატო ერთეულების რაოდენობა	თვიური ხელფასი
საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სოცკულტყოფაცხოვრების განყოფილება		
განყოფილების უფროსი .	1	160
უფროსი ინჟინერ-ეკონომისტი .	2	260
ეკონომისტი .	3	345
სულ .	6	865
კომერციული საქმიანობის განყოფილება		
განყოფილების უფროსი .	1	160
უფროსი ეკონომისტი .	1	130
ეკონომისტი .	1	115
სულ .	3	405
მთლიანად .	24	3350

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

54 რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისას ახალგაზრდა დედებისათვის შეღავათების მიცემის შესახებ

უმაღლესი განათლების მიღების მსურველი ახალგაზრდა დედებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში დღის განყოფილებაზე შესვლისას:

— ქალებს, რომლებსაც ჰყავთ ერთი შვილი და არ უმუშავიათ ორი წელი, მიეცეთ შეღავათები როგორც პროფილით მუშაობის ორი წლის სტაჟის მქონეთ;

— ქალებს, რომლებსაც ჰყავთ ორი და მეტი შვილი, მიეცეთ შეღავათები როგორც პროფილით მუშაობის ხუთი წლის სტაჟის მქონეთ.

2. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში დაუსწრებელ და საღამოს განყოფილებებზე შესვლისას:

— ქალები, რომლებსაც ჰყავთ ერთი შვილი და არ უმუშავიათ ორი წელი, გაუთანაბრდნენ იმათ, ვისაც აქვს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ განვლილ ყოველ წელს პროფილით მუშაობის ექვსი თვის სტაჟი;

—ქალებს, რომლებსაც ჰყავთ ორი და მეტი შვილი, და არ უმუშავიათ ხუთი წელი, მიეცეთ შეღავათები როგორც პროფილით მუშაობის ორი წლის სტაჟის მქონეთ.

3. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა მიმღებმა კომისიებმა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვისას სხვა თანაბარი პირობების შემთხვევაში უპირატესობა მისცენ ქალებს, რომლებსაც ჰყავთ შვილები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 25 ივლისი, № 497

55 საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 30 ოქტომბრის № 581 დადგენილება „საქართველო სსსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული

ნავთობპროდუქტებით მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველოს საკითხები";

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 12 აპრილის № 253 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 30 ოქტომბრის № 581 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველოს დებულების დამატების შესახებ";

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 19 დეკემბრის № 885 დადგენილება „საართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობ-პროდუქტების მომარაგება-გასაღების მთავარი სამმართველოს სტრუქტურისა და საშტატო რიცხოვნობის დამტკიცების შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ., 29 ივლისი, № 507

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 29 ივლისის № 507 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველო სსსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი (საქსახნავთობპროდუქტი) არის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო, რომელიც ახორციელებს რესპუბლიკაში ხელმძღვანელობას სახალხო მეურნეობის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სისტემისადმი და პასუხისმგებელია ამ პროდუქტებით სახალხო მეურნეობის დროული და შეუფერხებელი მომარაგებისათვის, ნავთობპროდუქტების მიწოდების რაციონალური ორგანიზაციისა და ჯეროვანი შენახვისათვის.

საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტები თუზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი ექვემდებარება საქართველო სსსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტს და სახალხო მეურნეობის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის ორგანიზაციის საკითხებში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის მითითებებით.

2. საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი ამოცანებია:

— დარგის, როგორც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემადგენელი ნაწილის, ყოველმხრივი განვითარება;

— ნავთობპროდუქტების მიწოდება სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში და საექსპორტოდ, დაწესებული გეგმების თანახმად, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული გაერთიანებების ,საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფა მათთვის გამოყოფილი ფონდების შესაბამისად, აგრეთვე ინდივიდუალური სატრანსპორტო საშუალებების მფრობელთა საწვავსაპოხი მასალებით უზრუნველყოფა და სახელმწიფო დისციპლინის მკაცრი დაცვა;

მილსადენიანი ტრანსპორტის ქსელის განვითარება, ახალი ნავთობპროდუქტსადენებისა და ნავთობბაზების მშენებლობა რესპუბლიკაში ნავთობის გადამმუშავებელ საწარმოთა განლაგების და რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მომხმარებელთა ნავთობპროდუქტებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების გათვალისწინებით;

— კონტროლი რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული მომხმარებლების (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) მიერ ნავთობპროდუქტების რაციონალური და ეკონომიური გამოყენებისადმი;

— სახალხო მეურნეობი სნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა, შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით მართვის ავტომატიზებული სისტემის შექმნა, ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის დარგში მეცნიერულ-ტექნიკური აღმოჩენებისა და ნამუშევრების რეალიზაციის დაჩქარება;

— ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის საშუალებათა შექმნის დარგში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება;

—საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის საქვეუწყებო ნავთობბაზების, სატრანსპორტო და სამრეწველო საწარმოების, ავტოგასაწყობი სადგურებისა და დარგის სხვა ობიექტების ეფექტიანი ექსპლუატაციის ორგანიზაცია;

— კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალური გამოყენება, მათი ეფექტიანობის ამაღლება, მშენებლობის ღირებულებისა და ვადების შემცირება, საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების დროულად ამოქმედება, აგრეთვე ამ სიმძლავრეთა მოკლე ვადებში ათვისება;

— ნამუშევარი ნავთობპროდუქტების შეგროვების, რეგენერაციისა და სახალხო მეურნეობაში ხელახლა გამოყენების ორგანიზაცია;

— კომიტეტის სისტემის საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, კადრების დამკვიდრებისათვის საჭირო პირობების შექმნა მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების უკეთ გამოყენების მიზნით, კადრების შერჩევა, განაწილება და სწორად აღზრდა,

ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდა სპეციალისტთა დაწინაურება, რომელთაც კარგად გამოიჩინეს თავი;

— კომიტეტის სისტემის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, წარმოებაში უსაფრთხო შრომის პირობების შექმნა.

3. საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს ხელმძღვანელობს უშუალოდ ან დადგენი ლიწესით მის მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით.

საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი, მისი საქვეუწყებო გაერთიანებები, სამრეწველო საწარმოები, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, სამმართველოები, ნავთობბაზები, ავტომომსახურების კომბინატები, ავტოგასაწყობი სადგურები და სხვა საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები შეადგენენ საქსახნავთობპროდუქტის სისტემას.

4. საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) ახდენს საქსახნავთობპროდუქტის მიერ მიღწეული ტექნიკურ-ეკონომიკური დონის სისტემატურ შეფასებას, განსაზღვრავს რესპუბლიკაში ნავთობპროდუქტებით სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების მიმართულებებს და შეაქვს ამ საკითხებზე საჭირო წინადადებანი დადგენილი წესით, აგრეთვე შეიმუშავებს და ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს;

ბ) ახორციელებს დამტკიცებული გეგმების შესაბამისად ნავთობპროდუქტების მიწოდებას დადგენილი წესით სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, საექსპორტოდ და რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული მომხმარებლებისათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, და უზრუნველყოფს კონტროლს ამ გეგმების შესრულებისადმი;

შეიმუშავებს სსრ კავშირის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული განაწილების გეგმებისა და სარესპუბლიკათაშორისო მიწოდებათა გეგმების საფუძველზე რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მომხმარებელთათვის ყოველგვარი ნავთობპროდუქტების მიწოდების კრებსით გეგმებს და აცნობებს მათ შესაბამის საქვეუწყებო ორგანიზაციებს;

ავლენს და აანალიზებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას სსრ კავშირის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის ნომენკლატურის დეცენტრალიზებული წესით დაგეგმილ ნავთობპროდუქტებზე და გამოყოფილი ფონდების შესაბამისად ამტკიცებს ამ ნავთობპროდუქტების განაწილებისა და მიწოდების გეგმებს;

გ) აწარმოებს რესპუბლიკაში ყოველგვარი ნავთობპროდუქტების რესურსების აღრიცხვას, ადგენს ნავთობპროდუქტების კრებსით შესასრულებელ და საანგარიშგებო მატერიალურ ბალანსებს;

სწავლობს სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის მიმდინარე და პერსპექტიულ მოთხოვნილებას ნავთობ-

პროდუქტებზე, ახდენს ნავთობპროდუქტების მიწოდების გეგმების შესრულების ეკონომიკურ ანალიზს და წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტს წინადადებებს ,რომელთა მიზანია მათი რაც შეიძლება ეფექტიანი გამოყენება;

განსაზღვრავს მომხმარებელთა მონაწილეობით ნავთობპროდუქტებით მათი მომარაგების ოპტიმალურ ფორმებს, ახორციელებს მომხმარებელთათვის ნავთობპროდუქტების ცენტრალიზებული მიტანის განვითარების, დასატვირთ-გადმოსატვირთ სამუშაოზე მექანიზაციის საშუალებათა ფართოდ გამოყენების, საერთო სარგებლობის ავტოგასაწყობ სადგურებში მომსახურების ფორმების სრულყოფის ღონისძიებებს;

დ) ამზადებს, წინადადებებს ნავთობგადამმუშავებელ საწარმოებში ნავთობპროდუქტების წარმოების რაციონალური განლაგების, პროგრესულ და ეკონომიურ სახეობათა ნავთობპროდუქტების წარმოების გადიდების, აგრეთვე ცალკეული გაუსავლიანი ან არაეკონომიური ნავთობპროუქტების გამოშვების შემცირების ან წარმოებიდან მოხსნის შესახებ;

— ე) მონაწილეობს ნავთობპროდუქტების წარმოების გეგმების შემუშავებაში, კონტროლს უწევს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ ნავთობგადამმუშავებელი ქარხნების მიერ ნავთობპროდუქტების წარმოების (მიწოდების) გეგმების შესრულებას დაწესებული მოცულობისა და ასორტიმენტის მიხედვით;

ვ) უზრუნველყოფს ნავთობპროდუქტების მიღებას რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ნავთობგადამმუშავებელი საწარმოებიდან და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მომწოდებლებისაგან დამტკიცებბული გეგმების მიხედვით, აგრეთვე იმპორტის ხაზით, მათს აღრიცხვას, რაოდენობისა და ხარისხის შენარჩუნებას მიღების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და გაცემის დროს, აგრეთვე მთელი მატერიალური ფასეულობებისა და ფულადი სახსრების დაცვა-შენარჩუნებას კომიტეტის სისტემაში;

შეიმუშავებს წინადადებებს ნავთობპროდუქტების გადაზიდვის რაციონალიზაციის, ყველაზე ეკონომიკურ სახეობათა ტრანსპორტის მაქსიმალური გამოყენების გათვალისწინებით მათი რაციონალური ტვირთნაკადების სქემის დაწესების შესახებ;

უზრუნველყოფს სატრანსპორტო საშუალებათა რაციონალურ გამოყენებას და იღებს საჭირო ზომებს დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებზე მათი მოცდენის შემცირებისათვის;

ორგანიზაციას უწევს მუშაობას ნამუშევარი ნავთობპროდუქტების შეგროვებისა და რაციონალური გამოყენებისათვის, უზრუნველყოფს ნამუშევარი ზეთებისა და სხვა ნავთობპროდუქტების მიღებას მომხმარებელთაგან კომიტეტის სისტემის ნავთობბაზებსა და ავტოგასაწყობ სადგურებში, აწარმოებს მათ რეგენერაციასა და ხელახლა გამოყენებას სახალხო მეურნეობაში დაწესებული გეგმების შესაბამისად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო კონტროლს უწევს ნავთობპროდუქტების რაციონალურ გამოყენებასა და სწორ შენახვას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, აანალიზებს ნავთობპროდუქტების დანაკარგებისა და არარაციონალური გამოყენების მიზეზებს, იღებს საჭირო ზომებს მათი აღმოფხვრისათვის, შეიმუშავებს რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად ნავთობპროდუქტების ეკონომიის, წარმოებაში, მშენებლობაში, ტრანსპორტირებისა და შენახვის დროს მათი დანაკარგების შემცირების ღონისძიებებს, აკონტროლებს ნავთობპროდუქტების ეკონომიის დავალებათა შესრულებას;

ზ) უზრუნველყოფს რესპუბლიკაში საერთო სარგებლობის ნავთობსადენების, ნავთობბაზებისა და ავტოგასაწყობი სადგურების ქსელის რაციონალურ განლაგებასა და განვითარებას, იძლევა დასკვნებს ასაშენებელი ნავთობგადამმუშავებელი საწარმოების, აგრეთვე მომხმარებლებთან ნავთობბაზებისა და სათბობგასაწყობი პუნქტების განლაგების საკითხებზე;

შეიმუშავებს და წარუდგენს სსრ კავშირის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებებს საქვეუწყებო ნავთობბაზებისა და ავტოგასაწყობი სადგურების ტევადობებში ნავთობპროდუქტების ნორმატიული მარაგის შესახებ;

უზრუნველყოფს ხელმძღვანელობასა და სისტემატურ კონტროლს კომიტეტის საქვეუწყებო ნავთობპროდუქტსადენების, ნავთობბაზების, სამრეწველო წარმოების, ავტოგასაწყობი სადგურებისა და სხვა ობიექტების ეფექტიანი ექსპლუატაციისადმი;

ორგანიზაციას უწევს საქვეუწყებო ნავთობბაზებში ნავთობპროდუქტების დაფასოებას წვრილ ტარაში კომიტეტის სისტემის ავტოგასაწყობი სადგურების მეშვეობით გასაცემად;

— ახორციელებს კონტროლს მომხმარებელთა და საქვეუწყებო ორგანიზაციათა მიერ ნავთობპროდუქტების საბრუნავი ტარის დადგენილი წესით გამოყენებისა და დაბრუნებისადმი;

თ) ხელმძღვანელობს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარების საქმეს, შეიმუშავებს კომიტეტის სისტემაში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებს, უზრუნველყოფს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას, გამოცდილების გაზიარებას ამ საკითხებზე, სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციას;

ხელმძღვანელობს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის, ტექნოლოგიურ პროცესთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებების დანერგვას, აგრეთვე კოროზიისაგან ლითონების დაცვის სამსახურის მუშაობას;

ი) უზრუნველყოფს საწარმოო ფონდების, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ეკონომიის რეჟიმის გაძლიერებას საქვეუწყებო საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგნიზაციებში;

კ) შეიმუშავებს კომიტეტის სისტემის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტებს სსრ კავშირის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის გეგმების შესაბამის მაჩვენებელთა საფუძველზე, წარადგენს ამ გეგმებს დასამტკიცებლად დადგენილი წესით, განიხილავს და ამტკიცებს საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა შესაბამის გეგმებს;

უზრუნველყოფს სამეურნეო ანგარიშის, მოგების, თვითღირებულებისა და სხვა ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულირების აქტიურ გამოყენებას, ახორციელებს ღონისძიებებს წარმოების შინაგანი რეზერვების მაქსიმალური გამოყენების მიზნით;

ლ) გეგმავს დადგენილი წესით საქვეუწყებო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საწარმოო-სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებს, აკონტროლებს მათ მიერ საგეგმო, საფინანსო და სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცვას ,უზრუნველყოფს სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენარჩუნებას;

მ) უგზავნის საქვეუწყებო ორგანიზაციებს მმართველობის აპარატის შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ლიმიტებს, კონტროლს უწევს ამ ორგანიზაციების მუშაკთათვის თანამდებობრივი სარგოებისა და სატარიფო განაკვეთების სწორად დაწესებას;

ნ) უზრუნველყოფს კომიტეტის სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ საფინანსო გეგმების შესრულებას, საკუთარი საბრუნავი სახსრების დაცვა- შენარჩუნებას, დროულად განგარიშსწორებას მუშა-მოსამსახურეებთან, ბიუჯეტთან ,მიმწოდებლებთან, მოიჯარეებთან, ბანკებთან, აგრეთვე საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საბრუნავი სახსრების გადარიცხვას, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური მშენებლობის, კაპიტალური რემონტის დასაფინანსებლად და საფინანსო გეგმით გათვალისწინებული სხვა მიზნებისათვის;

ო) ამტკიცებს საქვეუწყებო სამმართველოთა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ანგარიშებსა და ბალანსებს, ადგენს კრებსით ანგარიშებსა და ბალანსებს კომიტეტის საქმიანობი სახეობათა მიხედვით;

პ) ხელმძღვანელობს სამართლებრივ მუშაობას, უზრუნველყოფს სოციალისტური კანონიერებისა და სახელმწიფო, შრომისა და საწარმოო დისციპლინის დაცვას კომიტეტის სისტემაში;

ორგანიზაციას უწევს ხელშეკრულებათა დადებას, ამოწმებს სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას;

შეიმუშავებს რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა, აგრეთვე ცალკეულ მომხმარებელთა მონაწილეობით წინადადებებს ნავთობპროდუქტების მიწოდების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებზე ნორმატიული აქტების სრულყოფის და საქართველო სსსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტისათვის დაკისრებული ამოცანების განხორციელებაში სამეურნეო ხელშეკრულებათა როლის ამაღლების შესახებ;

ჟ) ახორციელებს საქვეუწყებო საწარმოებში ნავთობპროდუქტებით გაჭუჭყიანებისაგან გარემოს დაცვის, ნავთობშემცველი და სხვა ჩამდინარი წყლე-

ბისა და სამრეწველო გადანაყრების საწმენდ ნაგებობათა დროული მშენებლობისა და სწორი ექსპლუატაციის ღონისძიებებს;

რ) მონაწილეობს ნავთობპროდუქტების სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების, გამოცდის მეთოდების, ნავთობპროდუქტების შენახვის, ტრანსპორტირების, გაწყობის, რაოდენობისა და ხარისხისადმი კონტროლის ტექნიკურ საშუალებათა და რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის პროცესში გამოყენებული სხვა მოწყობილობის სტანდარტების, აგრეთვე რკინიგზის, სამდინარო, საზღვაო და საავტომობილო ტარნსპორტით ნავთობპროდუქტების გადაზიდვის საშუალებათა ახალი სახეობების ტექნიკური მოთხოვნების პროექტების განხილვაში და ამ საშუალებათა გამოცდაში;

ს) ახორციელებს კაპიტალურ მშენებლობას ლიმიტების სისტემაში, უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიან გამოყენებას, საერთო სარგებლობის ნავთობბაზების, ავტოგასაწყობი სადგურებისა და სხვა ობიექტების რეკონსტრუქციას, კაპიტალურ რემონტსა და დროულად ამოქმედებას, შეიმუშავებს და ამტკიცებს დადგენილი წესით სატიტულო სიებსა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას;

ახორციელებს დადგენილი წესით მშენებარე და სარეკონსტრუქციო საწარმოთა დაომპლექტებას მოწყობილობით, არმატურით, ხელსაწყოებით, ავტომატიზაციისა და კავშირგაბმულობის საშუალებებით, კაბელისა და სხვა ნაკეთობებით;

ტ) ორგანიზაციას უწევს მუშაობას წარმოებაში უსაფრთხო შრომის პირობების შექმნის, შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და გაჯანსაღების, საწარმოო ტრავმატიზმისა და ავარიების თავიდან აცილების ახალი საშუალებებისა და მეთოდების დანერგვის, უსაფრთხოების ტექნიკის წესებისა და საწარმოო სანიტარიის მოთხოვნების, ხანძარსაწინააღმდეგო წესების განუხრელი დაცვის მიზნით, აგრეთვე ახორციელებს ხელმძღვანელობას საუწყებო გასამხედროებული დაცვისადმი;

უ) ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევს საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენებას საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, იღებს დაგენილი წესით სტატისტიკურ და საბუღალტრო ანგარიშგებას დამტკიცებული ფორმების მიხედვით, აანალიზებს მას, ახორციელებს საღრიცხვო სამუშაოთა ცენტრალიზაციისა და მექანიზაციის, აღრიცხვის პროგრესული მეთოდების დანერგვის ღონისძიებებს;

ფ) ორგანიზაციას უწევს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას კომიტეტის სისტემაში, უზრუნველყოფს რევიზიების რეგულარულად ჩატარებას, ეკონომიკის მდგომარეობის ყოველმხრივ ანალიზს, სახსრებისა და მატერიალური ფასეულობათა დაცვა-შენახვის შემოწმებას, ეკონომიის რეჟიმის დაცვას, ახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო ქონების დასაცავად და მიყენებული მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად;

ქ) ორგანიზაციას უწევს საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას;

ღ) უზრუნველყოფს ხელმძღვანელი კადრების შერჩევის, დაწინაურებისა და განაწილების ლენინური პრინციპების განხორციელებას, ეწევა მუშაობას ხელმძღვანელ ,ნჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მუშათა და მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი სწორად გამოყენებისათვის, აგრეთვე შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის, უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების აღმავლობის მატერიალური და მორალური სტიმულირების სწორ შეხამებას, მინდობილი საქმისა და კომიტეტის მუშაობის საერთო შედეგებისათვის თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობის ამაღლებას;

— ქმნის პირობებს იმისათვის, რათა კომიტეტის მუშაკებმა, მისმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გამოიჩინონ ინიციატივა და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის, კომიტეტის აპარატისა და მისი საქვეუწყებო საწარმო-ორგანიზაციების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის მუშაობაში;

ყ) პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად ორგანიზაციას უწევს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში სოციალისტურ შეჯიბრებას, რომლის მიზანია მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარება, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლება, საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების ეკონომიურად ხარჯვა, აჯამებს სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და დაგენილი წესით ახალისებს მის გამარჯვებულებს, აკუთვნებს მუშაკებს პროფესიაში საუკეთესო წოდებას. წარადგენს მოწინავე მუშაკებს საპატიო წოდებების მისანიჭებლად და საპატიო სიგელებით დასაჯილდოებლად, იყენებს წახალისების სხვა ფორმებს;

ორგანიზაციაკ უწევს შრომის მოწინავე მეთოდებისა და მოწინავე გამოცდილების შესწავლას, განზოგადებასა და გავრცელებას;

შ) ხელმძღვანელობს დადგენილი წესით კოლექტიუ რხელშეკრულებათა დადებას და ახორციელებს კონტროლს მათი შესრულებისადმი;

უზრუნველყოფს მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, კონტროლს უწევს **კომიტეტის სისტემის** საწარმოთა ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალური განვითარების გეგმების შესრულებას;

ჩ) ორგანიზაციას უწევს მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრებს დროულად და ყურადღებით განხილვას, ამასთან აღწევს მათში აღძრული საკითხების სწორ გადაწყვეტას, იღებს ზომებს კომიტეტის აპარატისა და მისი საქვეუწყებო საწარმო-ორგანიზაციების საქმიანობაში არსებულ იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომელთაც იტყობინებიან მოქალაქენი თავიანთ წინადადებებში, განცხადებებსა და საჩივრებში;

ც) სადუმლო;

ძ) საიდუმლო.

5. საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტს მის წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად და მისთვის დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს სამინისტროებში ,უწყებებში, აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, ნავთობპროდუქტების რაციონალური გამოყენება ,მათი მიღების, შენახვის, გაცემისა და ტრანსპორტირების წესების დაცვა, ხარჯვის ნორმების დადგენისა და გამოყენების სისწორე. ნავთობპროდუქტების ხარჯვის შემცირებისა და ეკონომიის ღონისძიებათა განხორციელება და გასცეს შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი ნავთობპროდუქტების გამოყენების წესებისა და მორმების დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ.

საიდუმლო.

ბ) მიიზიდოს ჩასატარებელ შემოწმებებში მონაწილეობისათვის რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სპეციალისტები შესაბამის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით;

გ) მოისმინოს საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის ომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებანი და ინფორმაციები;

დ) მიიღოს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის გეგმების შემუშავებისა და მათი შესრულების შემოწმებისათვის საჭირო სტატისტიკური მონაცემები;

ე) მიიღოს საქართველოს სსრ სამნისიტროებისა და უწყებებისაგან, აგრეთვე უშუალოდ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისაგან, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის გეგმის შემუშავების, რეალიზაციისა და შესრულების შემოწმებისათვის საჭირო მონაცემები, დადგენილი წესით დამტკიცებული ფორმების მიხედვით წარმოებული სტატისტიური და საბუღალტდო ანგარიშგება ,აგრეთვე საუწყებო ანგარიშგების სტატისტიკური მასალები და სხვა საინფორმაციო მონაცემები ნავთობპროდუქტების წარმოების, მიწოდების, გამოყენებისა და ნაშთების შესახებ;

ვ) შეიტანოს საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა კვარტალურ გეგმებში შესწორებანი რეალიზაციის მოცულობის, მიმოქცევის ხარჯების, მათ შორის სატრანსპორტო ხარჯების, და მოგების თაობაზე კვარტალის ბოლომდე არა უგვიანეს 10 დღისა, თუ შესწორებათა აუცილებლობა გამომდინარეობს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მოპოვების, წარმოების, მიწოდებისა და გადაზიდვის გეგმებში დადგენილი წესით შეტანილი ცვლილებებიდან. აღნიშნული შესწორებანი შეიტანება მთლიანად კომიტეტის სისტემისათვის დაწესებული შესაბამისი საგეგმო მაჩვენებლების ფარგლებში, ბიუჯეტთან ურთიერთობის შეუცვლელად;

ზ) შექმნას დადგენილი წესით მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდი, ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემირების ფონდი და

სხვა ცენტრალიზებული ფონდები, აგრეთვე რეზერვი საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად;

თ) გახსნას ბანკების დაწესებულებებში საანგარიშსწორებო ანგარიშები საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრების ,მოგების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის შესაქმნელი თანხების და სხვა სახსრების გადასანაწილებლად, აგრეთვე ცალკე ანგარიშები საწარმოებსა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად რეზერვის სახსრების და კაპიტალური რემონტისათვის საამორტიზაციო ანარიცხების რეზერვის სახსრების შესანახად.

6. საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ კანონებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებებით, ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით, ამ დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას კომიტეტის სისტემის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი განაზოგადებს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს ამ კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებებს და წარუდგენს მათ განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტს.

7. საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტს სათავეში უდგას თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველო სსსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რასაც შემდგომ წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებს ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზურნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე პერსონალურად პასუხისმგებელია კომიტეტისათვის დაკისრებული ამოცანების შესრულებისა და თავისი ფუნქციების განხორციელებისათვის, აწესებს თავმჯდომარის მოადგილეთა და კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას კომიტეტის საქმიანობის ცალკეული დარგებისადმი ხელმძღვანელობი-

სათვის, აგრეთვე საქვეუწყებო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობისათვის.

საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისას სარგებლობს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრებისათვის მინიჭებული უფლებებით.

8. საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტში იქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე (კოლეგიის თავმჯდომარე) და თავმჯდომარის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

კომიტეტის კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგია თავის რეგულარულად მოწვეულ სხდომებზე განიხილავს კომიტეტის სისტემის განვითარებისა და მისი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, სახალხო მეურნეობის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფისათვის მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების ძირითად საკითხებს, ზემდგომ ორგანოებში შესატანი ნორმატიული და სხვა დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტების პროექტებს, აგრეთვე კომიტეტის დადგენილებათა, ბრძანებათა და ინსტრუქციათა პროექტებს, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის, მომზადების, გამოყენებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს, ისმენს კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების, კომიტეტის სისტემის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებებსა და ანგარიშებს, აგრეთვე განიხილავს საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის კომპეტენციისათვის განკუთვნილ სხვა საკითხებს.

9. საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი გამოსცემს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებების, ბრძანებების, ინსტრუქციებისა და მითითებების საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და იძლევა კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების კომიტეტის სისტემის, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ აუცილებლად შესასრულებელ მითითებებს და მოწმებს მათს შესრულებას.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველო სსსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი გამოსცემს აგრეთვე დადგენილებებს, რომლებიც აუცილებლად უნდა შეასრულონ სამინისტროებმა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწყებებმა, აგრეთვე საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი საჭირო შემთხვევებში გამოსცემს დადგენილებებს, ბრძანებებსა და ინსტრუქციებს რესპუბლიკის სხვა სამინისტოებთან და უწყებებთან ერთად ან შეთანხმებით.

10. საქართველოს სსრნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტში იქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, სახალხო მეურნეობის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის ეფექტიანობის ამაღლების პრობლემათა განსახილველად და ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეცნიერები, საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, აგრეთვე რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა, საწარმოთა, სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციათა და უმაღლეს სასწავლებელთა ხელმძღვანელი მუშაკები და სპეციალისტები.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას და მის დებულებას ამტკიცებს საქართველოს სს რნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

11. საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი ქმნის, გარდაქმნის და უქმებს დადგენილი წესით რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მისთვის დაწესებული მუშა-მოსამსახურეთა რიცხოვნობის ლიმიტისა და ხელფასის საერთო ფონდის ფარგლებში, აგრეთვე ამტკიცებს დებულებებს (წესდებებს), რომლებიც განსაზღვრავენ მათს უფლებამოსილებებს.

12. საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის დებულებას, აგრეთვე მისი ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს ამტკიცებს საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

13. საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

---

56 „სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 30 ივნისის № 584 დადგენილების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ „სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 30 ივნისის № 584 დადგენილებით:

— დაწესდა, რომ განუწყვეტელი მუშაობის სტაჟი, რომელიც იძლევა მოხუცებულობის გამო პენსიის 20-პროცენტიანი დანამატის უფლებას, განისაზღვრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 13 აპრილის № 252 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო სოციალური დაზღვევის დახმარების დანიშვნისას მუშა-მოსამსახურეთა განუწყვეტელი შრომის სტაჟის გამოანგარიშების წესების შესაბამისად;

— საკუთარი სურვილით დათხოვნისას ეს წესები განუწყვეტელი შრომის სტაჟის შენარჩუნების ნაწილში არ გამოიყენება, ორსული ქალების, რვა წლამდე ასაკის ბავშვიანი დედების დათხოვნის, ქმრის ან ცოლის სხვა ადგილზე სამუშაოდ გადაყვანასთან, მოხუცებულობის ან ინვალიდობის გამო პენსიაზე გადასვლასთან, აგრეთვე მუშათა ორგანიზებული შეგროვების, სასოფლო-სამეურნეო გადასახლება-დასახლების ან საზოგადოებრივი გაწვევის წესით სხვა ადგილზე სამუშაოდ გადაყვანასთან დაკავშირებით დათხოვნის შემთხვევების გარდა;

„სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 3 აგვისტოს № 590 დადგენილებით დამტკიცებულ სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულებაში შეტანილია შემდეგი ცვლილებანი:

ა) 116-ე პუნქტის მესამე აბზაცს დაემატა სიტყვები: „ამასთან ამ დებულების მე-20 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მეორე აბზაცით დაწესებული განუწყვეტელი მუშაობის სტაჟისათვის დანამატის დასარიცხად განუწყვეტელი მუშაობის სტაჟის შენარჩუნების წესები საკუთარი სურვილით დათხოვნისას არ გამოიყენება, ორსული ქალების, რვა წლამდე ასაკის ბავშვიანი დედების დათხოვნის, ქმრის ან ცოლის სხვა ადგილზე სამუშაოდ გადაყვანასთან, მოხუცებულობის ან ინვალიდობის გამო პენსიაზე გადასვლასთან, აგრეთვე მუშათა ორგანიზებული შეგროვების, სასოფლო-სამეურნეო გადასახლება-დასახლების ან საზოგადოებრივი გაწვევის წესით სხვა ადგილზე სამუშაოდ გადასვლასთან დაკავშირებით დათხოვნის შემთხვევების გარდა“;

ბ) ძალადაკარგულად ჩაითვალა 116-ე პუნქტის მეხუთე აბზაცი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 30 ივნისის № 584 დადგენილება შემოღებულია სამოქმედოდ 1983 წლის 1 აგვისტოდან და გამოიყენება იმ პირთათვის პენსიის დანიშვნისა და გადაანგარიშებისას, რომლებიც მუშე-

ბად ან მოსანსახურეებად მუშაობდნენ 1983 წლის 1 იანვრისათვის ან მოგვიანებით, გარდა დროებით (4 თვეზე ნაკლები) მომუშავე პენსიონერებისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 11 აგვისტო, № 532

57 საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 15 აგვისტო, № 536

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 15 აგვისტოს № 536
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი (საქსახჩაიმრეწვი) არის საკავშირო-რესპუბლიკური კომიტეტი და თავის საქმიანობაში ექვემდებარება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისევე სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს.

საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი სამეურნეო ანგარიშზეა.

საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს ხელმძღვანელობას ჩაის მრეწველობისადმი, ჩაის კონცენტრატებისა და გამამხნევებელი სასმელების წარმოებისადმი.

საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტს ეკისრება პასუხისმგებლობა რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის, წარმოების ტექნიკური დონისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმების შესრულებისა და ჩაის მრეწველობის ყოველგვარ პროდუქციაზე მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებისათვის.

2. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი ამოცანებია:

— რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის, როგორც მისი სახალხო მეურნეობის შემადგენელი ნაწილის, ყოველმხრივი განვითარება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე წარმოების განვითარებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის მაღალი ტემპი;

— სახელმწიფო გეგმის დავალებათა შესრულება და სახელმწიფო დისციპლინის განუხრელი დაცვის უზრუნველყოფა;

— მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოება საზოგადოებრივი შრომის მინიმალური დანახარჯებით, წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ძირითადი ფონდების, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების გაუმჯობესება;

— დარგში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, მოწინავე გამოცდილების დანერგვა და წარმოების მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების უზრუნველყოფა;

— კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალური გამოყენება და მათი ეფექტიანობის ამაღლება, მშენებლობის ღირებულებისა და ვადების შემცირება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების დროულად ამოქმედება და მოკლე ვადებში ათვისება;

— შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების უკეთ გამოყენებისათვის საჭირო პირობების შექმნა, ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდა სპეციალისტთა დაწინაურება, რომელთაც კარგად გამოიჩინეს თავი.

— კომიტეტის სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, წარმოებაში შრომის უსაფრთხო პირობების შექმნა.

3. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის ეკონომიკური და ადმინისტრაციული მეთოდების სწორ შეხამებას, ისეთი ეკონომიკური ბერკეტების რაც შეიძლება სრულად გამოყენებას, როგორიცაა მოგება, ფასი, პრემია და კრედიტი, მართვის ეფექტიანი სისტემების დანერგვას ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით, მართვის სტრუქტურისა და ორგანიზაციული ფორმების სრულყოფას.

4. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი უზრუნველყოფს ხელმძღვანელი, სამეურნეო, საინჟინრო კადრების შერჩევის, დაწინაურებისა და განაწილების ლენინური პრინციპების განხორციელებას, აკონტროლებს პარტიისა და მთავრობის დირექტივებისა და გადაწყვეტილებების შესრულებას ხელმძღვანელი კადრების მიერ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით კადრებს ზრდის შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, სახელმწიფო ინტერესებისა და დისციპლინის განუხრელი დაცვის სულისკვეთებით, იღებს ზომებს მატერიალური და მორალური სტიმულირების სწორი შეხამებისათვის საზოგადოებრივი წარმოების აღმავლობის და თითოეული მუშაკისათვის მინდობილი საქმისა და კოლექტივის მუშაობის საერთო შედეგებისათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით.

5. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი, მისი საქვეუწყებო საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები შეადგენენ აღნიშნული კომიტეტის სისტემას.

საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი მოვალეა განუხრელად დაიცვას სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულებით და მოქმედი კანონმდებლობის სხვა აქტებით გათვალისწინებული თავისი სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა უფლებანი და ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მათი სამეურნეო დამოუკიდებლობისა და ინიციატივის განვითარებას.

თავის საქმიანობაში საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს კონტაქტებსა და საქმიან თანამშრომლობას სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან დარგთაშორისი საკითხების შემუშავებასა და გადაწყვეტაში.

6. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას კომიტეტის სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი განაზოგადებს საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობაში კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს მისი სრულყოფის წინადადებებს და წარუდგენს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს.

7. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი უზრუნველყოფს თავისი სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სოციალისტური საკუთრების დაცვას და ყაირათიანად გამოყენებას.

8. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი უზრუნველყოფს მართვის დემოკრატიული საწყისების განვითარებას, ქმნის პირობებს, რათა მშრომელებმა და მათმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გამოიჩინონ ინიციატივა და აქტიური მონაწილეობა მიიღონ წარმოების სრულყოფის და კომიტეტისა და მისი საქვეუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობაში ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის მუშაობაში.

მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების საკითხებს საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი წყვეტს საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოების წინადადებათა გათვალისწინებით, ხოლო მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში — ამ ორგანოებთან ერთად ან მათთან შეთანხმებით.

9. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი დადგენილი წესით ქმნის, გარდაქმნის და აუქმებს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, ამტკიცებს საწარმოთა წესდებებს და კომიტეტის ორგანიზაციათა და დაწესებულებათა დებულებებს.

10. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი დაგეგმვისა და წარმოების დარგში მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეისწავლის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს ჩაის პროდუქციაზე და დაგეგმავს ჩაის მრეწველობის განვითარებას კომიტეტის სისტემის მიხედვით ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებასა და აღდგენას, ამასთან გაითვალისწინებს მათი ექსპლუატაციის დროს სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარგებისა და მთლიანად სახალხო მეურნეობის ინტერესებს, განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს სამრეწველო და სამეურნეო ნაყარით, ჩამდინარი წყლებით, რადიოაქტიური ნივთიერებებითა და წარმოების ნარჩენებით ჰაერის, ნიადაგისა და წყალსატევების გაჭუჭყიანებისაგან დასაცავად, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს შესანარჩუნებლად;

გ) მოაწყობს მუშაობას კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტების შესამუშავებლად;

დ) განსაზღვრავს, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრებიდან გამომდინარე, პერსპექტიული და წლიური გეგმების საკონტროლო ციფრებს და დაუგზავნის კომიტეტის სისტემის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს;

შეიმუშავებს სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრების და თავისი სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ წარდგენილი გეგმების პროექტების საფუძველზე კომიტეტის სისტემის მიხედვით პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს და წარუდგენს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს;

განიხილავს საწარმოთა და ორგანიზაციათა მონაწილეობით და დაუმტკიცებს მათ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს დაწესებული მაჩვენებლების მიხედვით ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების დავალებათა შესაბამისად, ამასთან უზრუნველყოფს აღნიშნული გეგმების ყველა განაყოფისა და მაჩვენებლის დაკავშირებას;

ე) საჭირო შემთხვევებში შეუცვლის დადგენილი წესით რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს წარმოების, კაპიტალური მშენებლობისა და სხვა მაჩვენებლების დავალებებს კომიტეტისათვის დაწესებულ საგეგმო დავალებათა ფარგლებში;

ვ) შეიმუშავებს და განახორციელებს კომიტეტის სისტემის საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს;

განსაზღვრავს დაინტერესებული ორგანოების წინადადებათა გათვალისწინებით კომიტეტის სისტემის საწარმოების მიერ იმ ნომენკლატურის პროდუქციის წარმოების მოცულობას, რომელიც გათვალისწინებული არაა ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმაში;

მიიღებს ზომებს კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა რაციონალური სამეურნეო კავშირურთიერთობის განვითარებისათვის;

ზ) უზრუნველყოფს დაწესებული გეგმების შესრულებას კომიტეტის სისტემის ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების მიერ;

თ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს დადგენილი წესით ტექნიკურ-ეკონომიკურ ნორმატივებს, ნედლეულის, სათბობის, მასალების ხარჯვისა და მარაგის ნორმებსა და საწარმოო და საექსპლუატაციო საჭიროებისათვის ელექტროენერ-

გიის ხარჯვის ნორმებს, უზრუნველყოფს დამტკიცებული ნორმატივებისა და ნორმების დანერგვას;

ი) დაამტკიცებს ან წარადგენს დასამტკიცებლად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კომიტეტის სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა პროდუქციისა და მომსახურების ფასებსა და ტარიფებს; კონტროლს გაუწევს კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ ფასებისა და ტარიფების გამოყენების სისწორეს;

კ) მოაწყობს პირველადს აღრიცხვას კომიტეტის სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, მიიღებს დადგენილი წესით სტატისტიკურ და საბუღალტრო ანგარიშგებას, განახორციელებს სააღრიცხვო სამუშაოთა ცენტრალიზაციისა და აღრიცხვის პროგრესული მეთოდების დანერგვის ღონისძიებებს;

ლ) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და რესპუბლიკის სხვა სამინისტროებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს კომიტეტის სისტემის საწარმოებისათვის ნედლეულის ბაზის შექმნისა და განვითარების ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში;

მ) მონაწილეობას მიიღებს ჩაის ფოთლის შესყიდვის სახელმწიფო გეგმების შემუშავებაში, მოაწყობს ცალკეულ სახეობათა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დამზადებას კომიტეტის საწარმოებისათვის;

ნ) შეიმუშავებს და წარადგენს დასამტკიცებლად დადგენილი წესით ჩაის მრეწველობის ნედლეულისა და პროდუქციის განაწილების ბალანსებსა და გეგმებს; უზრუნველყოფს გამოყოფილი ფონდების შესაბამისად განაწილების ბალანსებსა და გეგმებში შეტანილი ნედლეულისა და პროდუქციის მიწოდებას;

ო) კონტროლს გაუწევს პროდუქციის ხარისხსა და სანიტარიული რეჟიმის დაცვას კომიტეტის სისტემის საწარმოებში, პროდუქციის ხარისხისადმი დაწესებული მოთხოვნების დარღვევის ან სანიტარიული რეჟიმის დაუცველობის შემთხვევაში შეაჩერებს პროდუქციის წარმოებას და მის მიწოდებას სავაჭრო ორგანიზაციებისათვის;

პ) უზრუნველყოფს საგარეო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი საექსპორტო პროდუქციის წარმოების დავალებათა შესრულებას, მიიღებს ზომებს იმ საექსპორტო საქონლის წარმოების გაფართოებისათვის, რომლის რეალიზაციას მაღალი სავალუტო ეფექტიანობა აქვს; მონაწილეობას მიიღებს პროდუქციის ექსპორტის საკითხებზე ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში;

ჟ) შეიმუშავებს და წარადგენს დასამტკიცებლად დადგენილი წესით კომიტეტის სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა ტვირთის გადაზიდვის გეგმებს, აგრეთვე მოაწყობს ამ ტვირთის გადაზიდვას სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით.

11. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში:

ა) განახორციელებს სისტემატურ მუშაობას სასურსათო საქონლის წარმოებისა და გამოშვების მიღწეული ტექნიკურ-ეკონომიკური დონის შეფასებისათვის, განსაზღვრავს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა რაც შეიძლება

ეფექტიანად გამოყენების გზებს და უზრუნველყოფს ჩაის მრეწველობის განვითარების მაღალ ტექნიკურ დონეს სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა საფუძველზე;

ბ) შეიმუშავებს სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემებს დარგში მეცნიერული ძიებიდან მიღებული შედეგების წარმოებაში დანერგვამდე, აგრეთვე შეასრულებს კომპლექსური დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებულ სამუშაოებს;

გ) უხელმძღვანელებს კომიტეტის საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების საქმიანობას და განახორციელებს სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაგეგმვისა და ორგანიზაციის სრულყოფის და მათი ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებებს;

დ) უზრუნველყოფს საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს თანამედროვე დონის შესაბამისი საჭირო საწარმოო-ექსპერიმენტული ბაზით;

ე) უზრუნველყოფს მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების და სახალხო მეურნეობის მოთხოვნების შესაბამისი ახალ სახეობათა პროდუქციის, მაღალეფექტიანი ტექნოლოგიური პროცესებისა და წარმოების ორგანიზაციის მეთოდების შემუშავებასა და წარმოებაში დანერგვას, განახორციელებს წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის და უფრო ეკონომიური მასალებისა და ნედლეულის გამოყენების ღონისძიებებს;

გადაწყვეტს საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით სახალხო მოხმარების იმ საქონლის წარმოებიდან მოხსნის საკითხებს, რომელიც მოსახლეობის მოთხოვნით არ სარგებლობს;

ვ) შეიმუშავებს და წარადგენს დასამტკიცებლად სახელმწიფო სტანდარტების პროექტებს, უზრუნველყოფს სახელმწიფო სტანდარტების და პროდუქციის ხარისხის გამოცდისა და გაზომვის თანამედროვე საშუალებათა და მეთოდების დანერგვას, აგრეთვე კონტროლს სტანდარტების დაცვისადმი და გამოცდისა და გაზომვის საშუალებათა მდგომარეობისადმი;

დაამტკიცებს დარგობრივი მნიშვნელობის ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციას პროდუქციის ცალკეული სახეობებისათვის, რომლებსაც არა აქვთ სახელმწიფო სტანდარტები;

ზ) ორგანიზაციას გაუწევს სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციას, უზრუნველყოფს დარგის მიხედვით სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის მომზადებასა და გამოცემას დადგენილი წესით;

თ) უხელმძღვანელებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებას, შეიმუშავებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის პერსპექტიულ და მიმდინარე თემატიკურ გეგმებს, უზრუნველყოფს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას.

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებისათვის მუშაობას კომიტეტი განახორციელებს კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად;

ი) უზრუნველყოფს სამამულო და უცხოური საპატენტო მასალების ფართოდ შესწავლას და მათ გამოყენებას ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავების და არსებულის სრულყოფის დროს, გააანალიზებს პროდუქციის, აგრეთვე ტექნოლოგიურ პროცესთა პატენტუნარიანობას, უზრუნველყოფს დადგენილი წესით საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ განაცხადების წარდგენას სსრ კავშირში საავტორო მოწმობათა გასაცემად, ხოლო მიზანშეწონილობის შემთხვევებში — საზღვარგარეთ გამოგონებათა დასაპატენტებლად;

კ) შეიმუშავებს და წარადგენს დადგენილი წესით წინადადებებს ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე პროგრესული მანქანების, მოწყობილობის, მასალებისა და ტექნოლოგიური პროცესების ლიცენზიების საზღვარგარეთ შესასყიდად, უზრუნველყოფს შესყიდული ლიცენზიების მიხედვით პროდუქციის წარმოების რაც შეიძლება მალე ათვისებას.

12. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი კაპიტალური მშენებლობის დარგში:

ა) განახორციელებს კაპიტალურ მშენებლობას თავის სისტემაში, უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიან გამოყენებას, ახალი მშენებლობის რაციონალურ განლაგებას, დარგის პროგრესულ წარმოებათა უპირატეს განვითარებას, კაპიტალურ დაბანდებათა პირველ რიგში წარმართვას მოქმედ საწარმოთა ტექნიკური კვლავაღჭურვისათვის, დარგთაშორისი და შინადარგობრივი პროპორციების გაუმჯობესებას, კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაციას ასამოქმედებელ მშენებლობებზე და დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირებას;

ბ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს დადგენილი წესით მშენებლობათა სატიტულო სიებს, აგრეთვე მომავალი წლების მშენებლობისათვის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიებს.

უზრუნველყოფს საჭირო საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად შემუშავებას, დამტკიცებასა და მშენებლობებისათვის გადაცემას;

კონტროლს გაუწევს საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხს და მშენებლობის დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვას, აგრეთვე განახორციელებს ტექნიკურ ზედამხედველობას სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და მშენებარე ობიექტებისათვის მისაწოდებელი მოწყობილობის ხარისხისადმი; ორგანიზაციას გაუწევს საავტორო ზედამხედველობას მშენებლობისადმი;

გ) უზრუნველყოფს მშენებლობათა დაფინანსებას და მათ მომარაგებას მოწყობილობით, მასალებითა და ნაკეთობებით, რომელთა მიწოდება შემკვეთს ევალება;

კონტროლს გაუწევს საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ შეკვეთების წარდგენას კაპიტალური მშენებლობისათვის საჭირო მოწყობილობის შესაძენად გამოყოფილი ფონდებისა და მათი შესაძენი ასიგნებების შესაბამისად;

შეიმუშავებს მშენებლობაში შინაგანი რესურსების მობილიზაციის ღონისძიებებს და კონტროლს გაუწევს მათს შესრულებას;

დ) უზრუნველყოფს საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების დროულად ამოქმედებას, აგრეთვე საწარმოო სიმძლავრეების ათვისებას მოკლე ვადებში;

დანიშნავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო კომისიებს მშენებლობადამთავრებული საწარმოებისა და შენობა-ნაგებობების საექსპლუატაციოდ მისაღებად, დაამტკიცებს აქტებს მათი მიღების შესახებ და მიიღებს გადაწყვეტილებებს კრებსითი სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშების დახურვის შესახებ;

ე) ორგანიზაციას გაუწევს ძირითადი ფონდების კაპიტალურ რემონტს, უზრუნველყოფს მოწყობილობის მოდერნიზაციას, ტექნიკური დონისა და მწარმოებლობის ამაღლებას, აგრეთვე შენობა-ნაგებობათა ტექნიკური და საექსპლუატაციო მდგომარეობის გაუმჯობესებას; განახორციელებს ღონისძიებებს რემონტის ხარისხის ამაღლებისა და მისი გაიაფებისათვის;

ვ) ნებას დართავს საქვეუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს გააერთიანონ სხვა საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან კაპიტალური დაბანდებანი, რაც მათ გამოეყოფათ საბინაო-კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და ჯანმრთელობის და განათლების ობიექტების მშენებლობისათვის.

13. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში:

ა) განსაზღვრავს კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მოთხოვნილებას ნედლეულზე, სათბობზე, მოწყობილობასა და სხვა მატერიალურ რესურსებზე, განკარგავს კომიტეტისათვის გამოყოფილ მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია ამ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისათვის;

ბ) გაანაწილებს კომიტეტისათვის გამოყოფილ ნედლეულის, სათბობის, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური რესურსების ფონდებს უშუალოდ კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა და დაწესებულებათა შორის, გადაანაწილებს საჭირო შემთხვევებში აღნიშნულ ფონდებს საწარმოო პროგრამისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულების გათვალისწინებით;

გ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს პროდუქციის შინადარგობრივი კოოპერირებული მიწოდების გეგმებს სხვა დარგების მომხმარებელთათვის მისი მიწოდების გათვალისწინებით;

დ) კონტროლს გაუწევს ნედლეულის, სათბობის, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური რესურსების ფონდების რეალიზაციას, აგრეთვე საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების თაობაზე კომიტეტის სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ ხელშეკრულებათა დროულად დადებას და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას;

ე) უზრუნველყოფს კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ ნედლეულის, სათბობის, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური რესურსების სწორად შენახვასა და გამოყენებას და მიიღებს ზომებს ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური რესურსების რეალიზაციისათვის;

ვ) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს სათბობის ეკონომიურად ხარჯვის, წარმოებაში დანაკარგების შემცირების, საწარმოო ნარჩენებისა და მეორეული ნედლეულის გამოყენების უზრუნველსაყოფად და სხვა ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მატერიალური რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

14. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი ფინანსებისა და კრედიტის დარგში:

ა) განახორციელებს ღონისძიებებს კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების, რენტაბელობის ამაღლებისა და დაგროვების მაქსიმალური გადიდების, ძირითადი ფონდების, საბრუნავი სახსრებისა და ბანკის კრედიტების ეფექტიანი გამოყენების მიზნით;

დააფინანსებს დადგენილი წესით თავისი სისტემის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს და უხელმძღვანელებს მათს საფინანსო საქმიანობას;

განახორციელებს მოგების ხაზით ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

ბ) უზრუნველყოფს კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ საფინანსო გეგმების შესრულებას, საკუთარი საბრუნავი სახსრების დაცვა-შენარჩუნებას, დროულად ანგარიშსწორებას მუშა-მოსამსახურეებთან, ბიუჯეტთან, მიმწოდებლებთან, მოიჯარეებთან, ბანკებთან, აგრეთვე კაპიტალური მშენებლობის, კაპიტალური რემონტის დასაფინანსებლად და ფინანსური გეგმით გათვალისწინებული სხვა მიზნებისათვის განკუთვნილი საკუთარი სახსრების გადარიცხვას;

გ) შექმნის დადგენილი წესით ახალი ტექნიკის ათვისებისა და ახალი ტექნიკის შექმნისათვის პრემირების ფონდებს, აგრეთვე სხვა ცენტრალიზებულ ფონდებს და რეზერვს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად;

დ) ორგანიზაციას გაუწევს ბანკების დაწესებულებებთან ერთად ანგარიშსწორების ყველაზე ეკონომიური და პროგრესული ფორმების დანერგვას, რომლებიც ხელს უწყობენ გადასახდელთა დაჩქარებას, საბრუნავი სახსრების ბრუნვადობას და საგადამხდელო დისციპლინის განმტკიცებას, მონაწილეობას მიიღებს კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ურთიერთდავალიანების ჩათვლების ორგანიზაციასა და ჩატარებაში;

ე) გახსნის ბანკებში საანგარიშსწორებო ანგარიშებს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შორის საკუთარი საბრუნავი სახსრების, მოგების, ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის შესაქმნელი თანხების და სხვა სახსრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასანაწილებლად, აგრეთვე ცალკე ანგარიშებს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ფინანსური დახმარების გაწევის რეზერვის სახსრების შესანახად;

ვ) შეცვლის გეგმიანი მოგების ოდენობას კომიტეტის საქმიანობის სახეობათა მიხედვით სამეურნეო გეგმების ცვლილებათა შესაბამისად, შემოსავალ-გასავლის ბალანსით მისთვის დამტკიცებული მოგების საერთო ოდენობის ფარგლებში ბიუჯეტის გადასახდელთა შეუმცირებლად, რასაც შემდგომ შეატყობინებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს;

ზ) დაამტკიცებს უშუალოდ კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა კრებსით ანგარიშებსა და ბალანსებს, შეადგენს კრებსით ანგარიშებსა და ბალანსებს კომიტეტის საქმიანობის სახეობათა მიხედვით;

თ) ორგანიზაციას გაუწევს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას კომიტეტის სისტემაში, უზრუნველყოფს საუწყებო კონტროლის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რევიზიების რეგულარულად ჩატარებას, ეკონომიკის მდგომარეობის ყოველმხრივ ანალიზს, ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების დაცვის შემოწმებას, ეკონომიის რეჟიმის დაცვას, განახორციელებს კონტროლს კომიტეტის სისტემაში აღრიცხვა-ანგარიშგების სწორად წარმოებისა და უტყუარობისადმი, აგრეთვე ღონისძიებებს სახელმწიფო ქონების დაცვის უზრუნველსაყოფად და მიყენებული მატერიალური ზარალის გადასახდევინებლად.

15. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი კადრების, შრომისა და ხელფასის დარგში:

ა) უზრუნველყოფს თავისი სისტემის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მუშაკთა კვალიფიციური კადრებით, მოაწყობს კადრების მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას; შეისწავლის კადრებს კომიტეტის სისტემაში, უზრუნველყოფს ძველი გამოცდილი კადრებისა და ახალგაზრდა უნარიან მუშაკთა შეხამებას, შექმნის პირობებს ხელმძღვანელ სამუშაოებზე პოლიტიკურად მომწიფებულ სპეციალისტთა დასაწინაურებლად, რომლებმაც კარგად იციან თავიანთი საქმე და ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობენ კოლექტივში, მიიღებს ზომებს ახალგაზრდა სპეციალისტთა რაციონალური გამოყენებისათვის და განახორციელებს ღონისძიებებს კომიტეტის სისტემაში მუდმივი კადრების შექმნის მიზნით;

ბ) შეიმუშავებს დარგში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სრულყოფის ძირითად მიმართულებებს და ხელმძღვანელობას გაუწევს მუშაობას კომიტეტის სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისათვის; უზრუნველყოფს შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და გაჯანსაღების, უსაფრთხოების ტექნიკის წესებისა და საწარმოო სანიტარიის მოთხოვნების ვანუხრელი დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) შეიმუშავებს და შემოიღებს დადგენილი წესით კომიტეტის სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში გამომუშავების (მომსახურების) ერთიან და ტიპობრივ ნორმებს და მუშათა რიცხოვნობის ნორმატივებს;

კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად მოაწყობს მუშაობას კომიტეტის სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებში გამომუშავების (მომსახურების) ნორმების გადასასინჯად და განახორციელებს სხვა ღონისძიებებს შრომის ნორმირების სრულყოფისათვის;

შემოიღებს კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით შრომის დაცვის დამტკიცებულ დარგობრივ ნორმებს და უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესებს; განახორციელებს კონტროლს მათი დაცვისათვის;

დ) უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურებისა და პრემირების მოქმედი პირობების სწორად გამოყენებას, სწორ თანაფარდობას შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ხელფასის ზრდას შორის; განახორციელებს კონტროლს ხელფასის ფონდებისა და წამახალისებელი ფონდების ხარჯვისადმი;

ე) დააწესებს და შეცვლის კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკთა თანამდებობრივ სარგოებს თანამდებობრივი სარგოების სქემების დაცვით და საშუალო თანამდებობრივი სარგოების მიხედვით დარიცხული ხელფასის ფონდის ფარგლებში;

ვ) კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად უხელმძღვანელებს კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებას და კონტროლს გაუწევს მათს გამოყენებას;

ზ) უზრუნველყოფს კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მონაწილეობით თავისი სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, აგრეთვე გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებას;

თ) კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად:

— მოაწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას, დაამტკიცებს კომიტეტის სისტემაში რესპუბლიკური შეჯიბრების პირობებს, შემოიღებს დადგენილი წესით გარდამავალ წითელ დროშებს ფულადი პრემიებითურთ, ხელს შეუწყობს კომუნისტური შრომისათვის, წარმოების მაღალი კულტურისათვის მოძრაობის განვითარებას;

— შეაჯამებს სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს, წარადგენს სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით დასაჯილდოებლად და მიანიჭებს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულ კოლექტივებს გარდამავალ წითელ დროშებსა და ფულად პრემიებს, მიაკუთვნებს კომუნისტური შრომის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების წოდებას, უზრუნველყოფს შრომის მოწინავე მეთოდებისა და მოწინავე გამოცდილების შესწავლას, განზოგადებასა და გავრცელებას;

— დააჯილდოებს კომიტეტის სისტემის მოწინავე მუშაკებს სამკერდე ნიშნებითა და საპატიო სიგელებით.

16. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი თავის მუშაობას წარმართავს დარგისადმი ხელმძღვანელობის ყველა საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში კოლეგიურობისა და ერთმმართველობის პრინციპების შეხამების საფუძველზე, ამასთან განსაზღვრავს თანამდებობის პირთა ზუსტ პასუხისმგებლობას მინდობილ სამუშაო უბანზე საქმეთა ვითარებისა და განსაზღვრულ დავალებათა შესრულებისადმი.

17. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტს სათავეში უდგას თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რაც შემდგომ შეაჭვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, რომელთაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. თავმჯდომარის მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს კომიტეტის თავმჯდომარე.

18. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტში იქმნება კოლეგია კომიტეტის თავმჯდომარის (კოლეგიის თავმჯდომარე), თავმჯდომარის მოადგილეების, აგრეთვე კომიტეტის სხვა ხელმძღვანელ მუშაკთა შემადგენლობით.

კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

19. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე პერსონალურად პასუხისმგებელია კომიტეტისათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, აწესებს თავმჯდომარის მოადგილეთა, კომიტეტის ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას კომიტეტის სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობისათვის.

20. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გამოსცემს კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინიტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ბრძანებების, ინსტრუქციებისა და მითითებების საფუძველზე და შესასრულებლად, გასცემს მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად კომიტეტის სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის, და შეამოწმებს მათს შესრულებას.

საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე საჭირო შემთხვევებში გამოსცემს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

21. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგია თავის რეგულარულად მოწვეულ სხდომებზე განიხილავს ჩაის მრეწველობის განვითარების ძირითად საკითხებსა და კომიტეტის საქმიანობის სხვა საკითხებს, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, ისმენს კომიტეტის სამმართველოთა და განყოფილებათა, კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, თავმჯდომარის ბრძანებით. კომიტეტის თავმჯდომარესა და კოლეგიის წევრთა შორის უთანხმოების შემთხვევაში თავმჯდომარე ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

22. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებებზე წინადადებათა განსახილველად, ჩაის მრეწველობაში მეცნიერულად დასაბუთებული ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განსასაზღვრავად, სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენებისა და წარმოებაში დანერგვის თაობაზე რეკომენდაციების შესამუშავებლად საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტში იქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო თვალსაჩინო მეცნიერთა, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა, წარმოების ნოვატორთა, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობასა და მის დებულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

23. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი ქმნის სამართლებრივი მუშაობის განსახორციელებლად და კომიტეტის სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის სამეურნეო დავის განსახილველად იურიდიულ განყოფილებას საუწყებო არბიტრაჟითურთ. არბიტრაჟს უფლება ეძლევა გამოსცეს ბრძანებანი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა იძულებით შესრულების შესახებ.

არბიტრაჟის დებულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

24. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

კომიტეტის ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე სამმართველოთა და განყოფილებათა დებულებებს ამტკიცებს საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

სამმართველოები და განყოფილებები თავმჯდომარეს შეუძლია გადაიყვანოს სამეურნეო ანგარიშზე.

25. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი მოიწვევს დადგენილი წესით აქტივის კრებებს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მონაწილეობით, რომლებზეც მოისმენენ და განიხილავენ ფართო კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებათა შესახებ, დარგის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, აგრეთვე კომიტეტის, მისი საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

26. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი უზრუნველყოფს მშრომელთა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების დროულად და ყურადღებით განხილვას, ამასთან აღწევს მათში აღძრული საკითხების სწორად გადაწყვეტას, აგრეთვე იღებს ზომებს კომიტეტის სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობაში არსებული იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომელთაც იტყობინებიან თავიანთ წერილებში მშრომელები.

27. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

---

58 ინვალიდი მუშა-მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების, აგრეთვე ბავშვობიდან ინვალიდების სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფის შესახებ

„ინვალიდი მუშა-მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების, აგრეთვე ბავშვობიდან ინვალიდების სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 4 აპრილის № 272 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ ინვალიდ მუშა-მოსამსახურეებს და კოლმეურნეებს, აგრეთვე ბავშვობიდან ინვალიდებს სამედიცინო მონაცემების საფუძველზე მიეცეთ უფლება შეიძინონ მოტოეტლები ღირებულების 80 პროცენტის ფასდაკლებით.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შუამდგომლობით, აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით აღნიშნულ ინვალიდებს შეიძლება მიეცეთ მოტოეტლები უფასოდ.

2. მსუბუქი ავტომობილი „ზაპოროჟეცი“ ინვალიდებს მიეცემათ არსებული წესის შესაბამისად.

3. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ ინვალიდების მოტოეტლებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯები გაიღოს რესპუბლიკური ბიუჯეტით ამ მიზნისათვის გამოყოფილი სახსრებიდან.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ხელით სამართავი ავტომობილებით ინვალიდთა უზრუნველყოფის წესის შეცვლის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 30 დეკემბრის № 626 დადგენილების მეოთხე პუნქტი შრომის ინვალიდებისათვის ავტომობილების მიყიდვის წესის დაწესების ნაწილში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 15 აგვისტო, 1983 წ. № 544

59 საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლისათვის შალვა დადიანის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს მწერალთა კავშირის წინადადება და მიეკუთვნოს საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლს გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის შალვა დადიანის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 17 აგვისტო, № 554

60 „რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მფლობელობის, სარგებლობისა და გამგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 8 ივლისის № 628 დადგენილების თაობაზე

„რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მფლობელობის, სარგებლობისა და გამგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 8 ივლისის № 628 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა **საბჭო ა დ გ ე ნ ს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 8 ივლისის № 628 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა მე-18 პუნქტის პირველი აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 27 მაისის № 382 დადგენილებისა „1968-1970 წლებში რკინიგზის ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის უზრუნველყოფის გადაუდებელი ზომების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 8 ივლისის № 354 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 17 აგვისტო, № 556

61 საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედებითი შრომის ანაზღაურების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და მუსიკალურ ნაწარმოებთა საჯაროდ შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელოს გადახდის მოწესრიგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 18 დეკემბრის № 1097 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

I

1. გადიდდეს 1983 წლის 1 იანვრიდან საშუალოდ 30 პროცენტით საჯაროდ შესასრულებელ მუსიკალურ და მუსიკალურ-სასცენო ნაწარმოებთა შექმნისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები, რომლებიც დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილებით „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა გამოცემისათვის, საჯაროდ შესრულებისა და სხვა სახით გამოყენებისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთებისა და გადახდის წესების შესახებ“.

2. დაწესდეს 1983 წლის 1 იანვრიდან კინოთეატრებში, კაფეებში, რესტორანებში და საცეკვაო მოედნებზე მუსიკალურ ნაწარმოებთა შესრულები-

სათვის (გარდა მექანიკური ჩანაწერისა) საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები შემსრულებელთა ხელფასის 1,5 პროცენტის ოდენობით, ხოლო მექანიკურად ჩაწერილი მუსიკალური ნაწარმოებების საცეკვაო მოედნებზე შესრულებისათვის, როცა შესვლა ფასიანია, — მთლიანად შემოსული თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით.

II

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 18 დეკემბრის № 1097 დადგენილებისა და ამ დადგენილების I განაყოფის შესაბამისად მუსიკალურ და მუსიკალურ-სასცენო ნაწარმოებთა შექმნის, გამოცემისა და საჯაროდ შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთების და ამ ნაწარმოებთა ანაზღაურების წესის შეცვლასთან დაკავშირებით:

1. შეტანილ იქნეს „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა გამოცემისათვის, საჯაროდ შესრულებისა და სხვა სახით გამოყენებისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთებისა და გადახდის წესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილებაში შემდეგი ცვლილებანი:

ა) ჩამოყალიბდეს № 1 დანართის 8-14, 23 და 24 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

ნაწარმოებთა სახეობანი	განაკვეთები საავტორო გასამრჯელოსი, რასაც დაარიცხავენ თეატრალურ-სანახაობითი საწარმოები (ერთი ნაწარმოების ან პროგრამის საჯაროდ შესრულებისათვის ბილეთების გაყიდვით მიღებული მთლიანი შემოსავლის თანხების პროცენტულად)	
	მრავალაქტიანი ნაწარმოებები	ერთაქტიანი ნაწარმოებები
მუსიკალურ-დრამატული ნააწარმოებები		
8. ოპერა ქართულ ენაზე . . .	16,0	5,0
აქედან:		
კომპოზიტორს .	11,0	3,5
ლიბრეტოს ავტორს . .	5,0	1,5

ნაწარმოებთა სახეობანი	განაკვეთები საავტორო გასამრჯელოსი, რასაც დაარიცხავენ თეატრალურ-სანახაობითი საწარმოები (ერთი ნაწარმოების ან პროგრამის საჯაროდ შესრულებისათვის ბილეთების გაყიდვით მიღებული მთლიანი შემოსავლის თანხების პროცენტულად)	
	მრავალაქტიანი ნაწარმოებები	ერთაქტიანი ნაწარმოებები
9. ოპერა რუსულ ენაზე და სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენებზე (გარდა ქართულისა) . .	10,0	4,0
აქედან:		
კომპოზიტორს . .	7,0	3,0
ლიბრეტოს ავტორს . .	3,0	1,0
10. ოპერა, როცა ლიბრეტო სსრ კავშირის ხალხთა ერთ-ერთი ენიდან (რუსულის ჩათვლით) ან უცხო ენიდან ითარგმნება ქართულ ენაზე . .	13,0	5,0
აქედან:		
კომპოზიტორს . .	7,0	2,5
ლიბრეტოს ავტორს . .	3,0	1,0
ლიბრეტოს მთარგმნელს . .	3,0	1,5
11. ბალეტი . .	14,0	4.0
აქედან:		
კომპოზიტორს . .	11,0	2,5
ლიბრეტოს ავტორს . .	3,0	1,5
12. ოპერეტა, მუსიკალური კომედია ქართულ ენაზე	11,0	3,0
აქედან:		
კომპოზიტორს . .	5,5	1,5
ლიბრეტოს ავტორს . .	5,5	1,5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმოებთა სახეობანი	განაკვეთები საავტორო გასამრჯელოსი, რასაც დაარიცხავენ თეატრალურ-სანახაობითი საწარმოები (ერთი ნაწარმოების ან პროგრამის საჯაროდ შესრულებისათვის ბილეთების გაყიდვით მიღებული მთლიანი შემოსავლის თანხების პროცენტულად)	
	მრავალაქტიანი ნაწარმოებები	ერთაქტიანი ნაწარმოებები
13. ოპერეტა, მუსიკალური კომედია რუსულ ენაზე და სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენებზე (გარდა ქართულისა) . .	8,0	3,0
აქედან:		
კომპოზიტორს . .	4,0	1,5
ლიბრეტოს ავტორს . .	4,0	1,5
14. ოპერეტა, მუსიკალური კომედია, როცა ლიბრეტო სსრ კავშირის ხალხთა ერთ-ერთი ენიდან (რუსულის ჩათვლით) ან უცხო ენიდან ითარგმნება ქართულ ენაზე და საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხთა ეროვნულ ენებზე .	10,0	3,0
აქედან:		
კომპოზიტორს . . .	5,0	2,0
ლიბრეტოს ავტორს . . .	2,5	0,5
ლიბრეტოს მთარგმნელს . .	2,5	0,5
23. მუსიკალური ნაწარმოებების შესრულებისათვის კინოთეატრებში, კაფეებსა და რესტორანებში, აგრეთვე საცეკვაო მოედნებზე (გარდა მექანიკური ჩანაწერისა) .	1,5	შემსრულებელთა ხელფასის თანხიდან
24. მექანიკურად ჩაწერილი მუსიკალური ნაწარმოებების შესრულებისათვის საცეკვაო მოედნებზე (როცა შესვლა ფასიანია) . .	0,1	მთელი პროგრამისათვის

ბ). ჩამოყალიბდეს დანართი 9-33 და 34-40 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

ნაწარმოებთა სახეობანი	საავტორო	გასამრჯელოს (მანეთი)			განაკვეთები
	1	2	3	4	5
მუსიკალური ნაწარმოებები					
9. ოპერა (მრავალაქტიანი) . .	5000	6000	8000	10000	12000
10. ბალეტი (მრავალაქტიანი) .	4000	5000	6000	7000	8000
11. ოპერეტა, მუსიკალური კომედია, მიუზიკლი . . .	2500	3000	4000	5000	6000
12. ორატორია . .	1800	2400	3000	4000	5000
13. სიმფონია . .	2500	3000	4000	5000	6000
14. კანტატა, დიდი პროგრამული სიმფონიური ნაწარმოები, სიმფონიეტა	1500	2000	2500	3500	4000
15. კონცერტი სიმფონიური ორკესტრისათვის, სოლო ინსტრუმენტებისა და ხმისათვის ორკესტრთან ერთად	2000	3000	3500	4000	—
16. სიუიტა, ვარიაციები სიმფონიური, სასულე, საესტრადო ორკესტრებისათვის, ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრისათვის .	700	800	900	1000	1200
17. უვერტიურა ორკესტრისათვის, ფანტაზია, რაფსოდია და სხვა დიდი ნაწარმოებები ორკესტრისათვის .	400	500	700	850	1000
18. მცირე ერთნაწილიანი ნაწარმოებები ორკესტრისათვის .	150	200	250	300	350
19. რომანსები ხმისათვის ორკესტრთან ერთად . .	100	150	200	250	300
20. ციკლური ნაწარმოებები სასულე, საესტრადო ორკესტრებისათვის, ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრისათვის . .	200	400	600	700	800
21. მარშები სასულე და სხვა ორკესტრებისათვის . .	100	150	200	250	400
22. ცეკვები და მცირე ფორმის ნაწარმოებები ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრისათვის, საესტრადო და სხვა ორკესტრებისათვის, მათ შორის პიესები სოლო ინსტრუმენტებისათვის ორკესტრის აკომპანემენტით .	80	120	150	200	250
23. დიდი ფორმის კამერული ანსამბლები (დუეტი, ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი, სექსტეტი და სხვები, საანსამბლო სონატების ჩათვლით) .	600	800	1200	1600	2000
24. სიუიტები კამერული ანსამბლისათვის	250	350	550	700	800

ნაწარმოებთა სახეობანი	საავტორო		გასამრჯელოს (მანეთი)		განაკვეთები
	1	2	3	4	5
25. სონატები სოლო ინსტრუმენტებისათვის, ბალადები, ვარიაციები, ფანტაზიები და სხვები .	500	800	1000	1200	1500
26. მცირე კამერული ნაწარმოებები .	40	80	130	160	180
27. დიდი ნაწარმოებები, გუნდისათვის უაკომპანემენტოდ .	200	500	800	1100	1400
28. მცირე ფორმის ნაწარმოებები გუნდისათვის უაკომპანემენტოდ .	100	150	200	300	350
29. დიდი საგუნდო ნაწარმოებები ინსტრუმენტული აკომპანემენტით .	150	300	500	700	1000
30. მცირე ფორმის ნაწარმოებები გუნდისათვის ინსტრუმენტული აკომპანემენტით . .	70	100	150	250	300
31. რომანსები, ბალადები, ვოკალიზები, საკონცერტო არიები და სხვა კამერული ნაწარმოებები ხმისათვის აკომპანემენტით .	60	100	150	190	225
32. მუსიკა სიმღერებისათვის . .	50	90	120	165	225
33. მუსიკა თეატრალურ-დრამატული დადგმებისათვის .	200	600	800	1000	1200
მუსიკასთან დაკავშირებული ლიტერატურული ნაწარმოებები					
34. მრავალაქტიანი ოპერის ლიბრეტო	1000	1750	2250	2700	3200
35. მრავალაქტიანი ოპერეტის, მუსიკალური კომედიის, მიუზიკლის ლიბრეტო .	800	1200	1800	2200	2800
36. მრავალაქტიანი ბალეტის ლიბრეტო	400	600	800	1000	1200
37. ორატორიის, კანტატის ლიბრეტო	125	250	375	550	700
38. მრავალაქტიანი, ოპერის, ოპერეტის, მუსიკალური კომედიის, მიუზიკლის ლიბრეტოს თარგმნა .	350	500	800	1000	1200
39. ერთაქტიანი ოპერის, ოპერეტის, მუსიკალური კომედიის, მიუზიკლის ლიბრეტოს თარგმნა .	200	300	400	500	600

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) დაემატოს № 2 დანართს შემდეგი შინაარსის 64-69 პუნქტები:

ნაწარმოებთა სახეობანი	საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები (მანეთი)				
	1	2	3	4	5
მუსიკალური ნაწარმოებები ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის					
64. ოპერა ბავშვთა მხატვრული კოლექტივების შესასრულებლად .	500	1000	1500	2000	2500
65. ცალკეული ქორეოგრაფიული ნომრის მუსიკა (პარტიტურა) .	100	150	200	250	300
66. კონცერტი ორკესტრთან ერთად (ერთნაწილიანი) .	1000	1250	1500	1800	2000
მუსიკალურ-პედაგოგიური ნაწარმოებები ბავშვთა სამუსიკო სკოლებისა და სამუსიკო სასწავლებლებისათვის					
67. მრავალნაწილიანი სონატები და სონატინები . .	200	300	400	500	700
68. საბავშვო ინსტრუმენტული კონცერტები (მრავალნაწილიანი) .	400	500	600	800	1000
69. მცირე პიესები . .	15	30	50	70	100

დ) ჩამოყალიბდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილების გამოყენების თაობაზე ინსტრუქციის 52 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„52 საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები დაწესდება ავტორთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ღირებულების, მისი მოცულობისა და მუშაობის სირთულის შესაბამისად. თუ მზა ნაწარმოების შეძენის ან შეკვეთის დროს ავტორს გასამრჯელო მიეცა ამ დადგენილების № 2 დანართით გათვალისწინებული განაკვეთების არა უმაღლესი კატეგორიების (კატეგორია 4 ან 5) და ნაწარმოების შესრულების შემდეგ იგი მიიღებს საზოგადოებრიობის მაღალ შეფასებას, განაკვეთების უმაღლესი კატეგორიები (კატეგორია 4 ან 5) შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დადგენილებაში აღნიშნული განაკვეთების გამოყენება დამოკიდებული არ არის იმაზე, თუ ვის ექვემდებარება ორგანიზაცია, რომელმაც ხელშეკრულება დაუდო ავტორს“.

ე) ჩამოყალიბდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილების გამოყენების თაობაზე ინსტრუქციის 31 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

გ) „შემსრულებელთათვის დარიცხული გასამრჯელოს (ხელფასის) თანხის პროცენტულად (1,5 პროცენტი — იმ შემთხვევებში, როცა გადამხდელი არ

ახდევინებს მაყურებლებს შესვლის საფასურს და არ იღებს ხელშეკრულების მიხედვით გარანტირებულ ანაზღაურებას, აგრეთვე ისეთ შემთხვევებში, როცა მუსიკა სრულდება საცეკვაო მოედნებზე".

2. დაემატოს „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა გამოცემისათვის, საჯაროდ შესრულებისა და სხვა სახით გამოყენებისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთებისა და გადახდის წესების შესახებ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილების მე-2 პუნქტს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„დამტკიცდეს მუსიკალურ და მუსიკალურ-ლიტერატურულ ნაწარმოებთა გამოცემისათვის საავტორო გასამრჯელოს (ჰონორარის) შემდეგი განაკვეთები, № 3 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 25 თებერვლის № 133 დადგენილების დანართი № 3

გ ა ნ ა კ ვ ე თ ე ბ ი

საავტორო გასამრჯელოსი (ჰონორარისა) მუსიკალურ და მუსიკალურ-ლიტერატურულ ნაწარმოებთა გამოცემისათვის

ნაწარმოებთა სახეობანი	ტირაჟი (ეგზემპლარი)	განაკვეთის ოდენობა (მანეთი)			
		1	2	3	4
ოპერა, ბალეტი, მუსიკალური კომედია, მიუზიკლი (კლავირი ან პარტიტურა)					
1. ოპერა (მრავალაქტიანი)	5 კლავირი 0,5 პარტიტურა	1800	2400	3000	3600
2. ბალეტი (მრავალაქტიანი)	3 კლავირი 0,5 პარტიტურა	1200	1600	2000	2500
3. მრავალაქტიანი მუსიკალური კომედია, ოპერეტა, მიუზიკლი	5 კლავირი 0,5 პარტიტურა	1000	1200	1500	1800
4. ერთაქტიანი ოპერა, ბალეტი, მუსიკალური კომედია, ოპერეტა, მიუზიკლი	5 კლავირი 0,5 პარტიტურა	220	440	660	880
ნაწარმოები სიმფონიური ორკესტრისათვის (კლავირი ან პარტიტურა)					
5. სიმფონია	2 კლავირი 0,5 პარტიტურა	900	1000	1200	1400
6. ორატორია	2 კლავირი 0,5 პარტიტურა	800	900	1000	1100
7. კანტატა	2 კლავირი 0,5 პარტიტურა	450	500	600	700

ნაწარმოებთა სახეობანი	ტირაჟი (ეგზემპლარი)	განაკვეთის ოდენობა (მანეთი)			
		1	2	3	4
8. კონცერტი ორკესტრთან ერთად, კონცერტი ორკესტრისათვის, დიდი პროგრამული სიმფონიური ნაწარმოები (პოემა)	2 კლავირი 0,5 პარტიტურა	660	770	850	1100
9. სიუიტა, უვერტიურა, ფანტაზია, რაფსოდია და სხვა ანალოგიური სიმფონიური ნაწარმოებები	3 კლავირი 1 პარტიტურა	400	500	600	800
10. მცირე სიმფონიური ნაწარმოებები (მარში, ცეკვა და სხვ.)	6 კლავირი 3 პარტიტურა	165	220	275	385
ნაწარმოებები ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრებისა და სასულე ორკესტრებისათვის					
11. კონცერტი ორკესტრთან ერთად, სიუიტა, უვერტიურა, ფანტაზია, პოპური და სხვ.	3 პარტიტურა	330	385	440	550
12. მცირე ფორმების ნაწარმოებები (მარში, ცეკვა და სხვ.)	10 პარტიტურა	85	110	130	165
კამერული ნაწარმოებები					
15. კვინტეტი, კვარტეტი, ტრიო და სხვა ანსამბლები, სოლო ან ანსამბლის სონატა	1 პარტიტურა	330	385	500	550
16. სიუიტა კამერული ანსამბლისათვის, ვარიაციები, სკერცო და სხვ.	1,5 პარტიტურა	165	220	275	330
17. მცირე ნაწარმოებები ცალკეული ინსტრუმენტებისათვის (ნოქტიურნი, პრელუდი, ეტიუდი, ცეკვა და სხვ.)					
ა) საკონცერტო შესრულებისათვის	3	55	80	100	—
ბ) პედაგოგიური	10, ხოლო სწავლების პირველი საფეხურებისათვის 50	20	45	80	100
ვოკალური ნაწარმოებები					
18. მრავალნაწილიანი ნაწარმოებები გუნდისათვის ინსტრუმენტული აკომპანემენტის გარეშე	2	440	550	660	880

ნაწარმოებთა სახეობანი	ტირაჟი (ეგზემპლარი)	განაკვეთის ოდენობა (მანეთი)			
		1	2	3	4
19. ერთნაწილიანი ნაწარმოებები გუნდისათვის ინსტრუმენტული აკომპანემენტის გარეშე	10	110	145	175	220
20. მრავალნაწილიანი საგუნდო ნაწარმოებები ფორტეპიანოს, ბაიანის ან სხვა ინსტრუმენტების აკომპანემენტით	3	330	440	550	660
21. ერთნაწილიანი ნაწარმოებები გუნდისათვის ფორტეპიანოს, ბაიანის ან სხვა ინსტრუმენტებისათვის აკომპანემენტით	15	80	110	140	165
22. ვოკალური ანსამბლები აკომპანემენტით და უაკომპანემენტოდ (დუეტი, ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი და სხვ.)	10	80	110	140	165
23. მასობრივი ან საესტრადო სიმღერა ხმის ან გუნდისათვის ფორტეპიანოს ან ბაიანის აკომპანემენტით	25 300 ფურცელ-სიმღერა	55	70	90	100
24. საკონცერტო ნაწარმოებები ხმისათვის ინსტრუმენტული აკომპანემენტით (რომანსი, ბალადა, ვოკალიზი და სხვ.)	5	55	80	100	120

III

1. ეს დადგენილება გამოიყენება საჯაროდ შესასრულებელ მუსიკალურ და მუსიკალურ-სასცენო ნაწარმოებთა შექმნისა და მუსიკალურ ნაწარმოებთა გამოცემისათვის საავტორო გასამრჯელოს ყველა გადასახდელის მიმართ, რომელთა მიღების უფლება წარმოიშვა 1983 წლის 1 იანვრის შემდეგ.

ამ დადგენილებით დაწესებული ნაწარმოებთა საჯაროდ შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები და გადახდის წესები გამოიყენება საჯაროდ შესრულების მიმართ, რაც ხორციელდება 1983 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებანი განხორციელდეს ბიუჯეტთან ურთიერთობის შეუცვლელად.

IV

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1982 წლის 18 დეკემბრის № 1097 დადგენილებით:

— უცვლელად დატოვა საესტრადო ნაწარმოებთა გამოცემისათვის მოქმედი განაკვეთები;

— გაავრცელა ავტორის სიცოცხლეში გამოსულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა კრებულების და 1-3 ტომად გამოცემულ რჩეულ ნაწარმოებთა ანაზღაურების წესი კომპოზიტორის სიცოცხლეში გამოსულ მუსიკალურ ნაწარმოებთა კრებულებზე და 1-3 ტომად გამოცემულ კომპოზიტორთა რჩეულ ნაწარმოებებზე;

— დააწესა, რომ დრამატული თეატრების მიერ შესრულებული ოპერეტებისა და მუსიკალური კომედიებისათვის საავტორო გასამრჯელო გაიცემა მუსიკალურ-დრამატული თეატრების მიერ შესრულებული ოპერეტებისა და მუსიკალური კომედიებისათვის დაწესებული განაკვეთების მიხედვით;

— ნება დართო სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს გადაუხადოს დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული კინოფილმების ორიგინალური მუსიკის ავტორებს ჰონორარი იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია მხატვრული კინოფილმების ორიგინალური მუსიკის დაწერისათვის.

— დააწესა, რომ ეკრანზე განსასახიერებლად თავიანთი მუსიკალურ-სცენური ნაწარმოების შემოქმედებითი გადამუშავების საფუძველზე შექმნილი მუსიკალური მხატვრული კინოფილმების მუსიკის ავტორებს მიეცემათ დადგენილი წესით ჰონორარი სრულმეტრაჟიანი მუსიკალური მხატვრული კინოფილმის ორიგინალური მუსიკის დაწერისათვის გადასახდელი თანხების 30 პროცენტამდე ოდენობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 30 აგვისტო № 596

62 „საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 20 სექტემბრის № 644 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 5 ოქტომბრის № 973 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 1 ივლისის № 593 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს „საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 20 სექტემბრის № 644 დადგენილებაში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

ა) დაემატოს მე-14 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„მუშაკებს საკუთარი სახსრები თავდაპირველად შეუძლიათ შეიტანონ გადასახდელის ორი წლით განვადებით“;

ბ) დაემატოს მე-14 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტს შემდეგი შინაარსის აბზაცები:

„ნება დართო საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს მიჰყიდონ თავიანთ მუშაკებს სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების ან სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციათა საკუთარი სახსრების ხარჯზე აშენებული საეზოენაგებობებიანი საკარმიდამო ტიპის საცხოვრებელი სახლები, იმ ვარაუდით, რომ ამ მუშაკებმა საეზოენაგებობებიანი საცხოვრებელი სახლის ღირებულების 50 პროცენტი აანაზღაურონ ყოველთვიურად თანაბარწილად მიყიდვის დღიდან 25 წლის განმავლობაში;

დაავალა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახბანკს, სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსა და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით ექვსი თვის ვადაში დაამტკიცონ ინსტრუქცია საეზოენაგებობებიანი საცხოვრებელი სახლების მიყიდვის წესის შესახებ“;

გ) ჩამოყალიბდეს მე-14 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის პირველი აბზაცი შემდეგი რედაქციით:

„ურჩია კოლმეურნეობებს განახორციელონ საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და ამ მიზნით გაცემული კრედიტის დაფარვა და მიჰყიდონ კოლმეურნეებს კოლმეურნეობათა საკუთარი სახსრების, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 მაისის № 434 (პუნქტი 2) და 437 (პუნქტი 6) დადგენილებების შესაბამისად საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის განკუთვნილ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე აშენებული საეზოენაგებობებიანი საკარმიდამო ტიპის საცხოვრებელი სახლები ამ დადგენილების მე-14 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მე-14 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მეორე აბზაცში და მე-14 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის პირველ აბზაცში სიტყვები: „20 წლის“ შეიცვალოს სიტყვებით: „25 წლის “;

ე) დაემატოს მე-14 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„აღნიშნული მუშაკები მოვალენი არიან ჩააბარონ მეურნეობას ასეთივე წესით საგზაენაგებობებიანი საცხოვრებელი სახლები, რომლებიც მიეყიდათ მათ ამ დადგენილების მე-14 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მეხუთე აბზაცით გათვალისწინებული პირობებით, ან აუნაზღაურონ მეურნეობას მათი მშენებლობისათვის გაწეული დანახარჯები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 30 აგვისტო, № 597

63 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 21 ივნისის № 442 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 ივლისის № 531 დადგენილების და „ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 5 ნოემბრის № 636 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 21 ივნისის № 442 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 30 აგვისტო, № 598

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 30 აგვისტოს № 598 დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

1. „დაბა ბაკურიანის დაგეგმვის პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 13 დეკემბრის № 839 დადგენილების მე-3 პუნქტი;

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 8 მარტის № 161 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 13 დეკემბრის № 839 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“;

3. „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 5 ნოემბრის № 636 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში ცვლილებათა შეტანისა და ზოგიერთი მათგანის გაუქმების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 აგვისტოს № 520 დადგენილების მე-2 პუნქტი;

4. „ქ. თბილისის საგარეუბნო კურორტების კეთილმოწყობისა და შემდგომი განვითარების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 10 სექტემბრის № 475 დადგენილების მე-2 პუნქტის მეორე აბზაცი კოჯორსა და კიკეთში კერძო პირებისათვის მიწის ნაკვეთების გაცემისა და ახალი შენობების აგების აკრძალვის ნაწილში;

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 27 აპრილის № 202 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 აგვისტოს № 520 დადგენილების დაბა წაღვერზე გავრცელების შესახებ“.

64 თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ი. ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წინადადება და დაწესდეს თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლასა და საზოგადოებრივ მუშაობაში წარჩინებული სტუდენტებისათვის ი. ჭავჭავაძის სახელობის ერთი სტიპენდია აღნიშნული ინსტიტუტისათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 31 აგვისტო, № 607

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი—76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3, 1983 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/-84 წ. ქაღალდის ზომა 70X108 1/16,
საბეჭდი თაბახი 5 1/3, სააღრიცხვო თაბახი 5 1/3

შეკვეთა № 1238 უე 07802 ტირაჟი 1630

საქართველოს სსრ მს მთავარი სამეურნეო სამმართ. სტამბა